

**გიგი გელაშვილი**

**რით განვსხვავდებით**

**2008 წელი**


UDC(გვ.დ) 821. 353.1-1  
გ-296

რედაქტორი კლარა გელაშვილი  
მხატვარი კახა მურადაშვილი

ISBN 978-9941-0-0376-9

ՑՈՇՈՂՈՅ, ՀՎԱԼՏ ԹԾՅԵՐՈ

ՃՐ ՋԱԵԿԱՐՈՆ ՏԵՂԱ - ՃՐԱԴՅԵՐՈ...



ასე ყოფილა ოდითგანვე ცხოვრების შარაგზაზე გასული ყოველი ჩვენგანი, წუთისოფლის დიდ, ცოდვა-მადლით საგსე სცენაზე, უფლისმიერ შემოთავაზებულ როლს ვეუფლებით. როლის მიხედვით ნაწილობრივ ვლინდება ჩვენი ადამიანური ბუნება, – სუსტი თუ ძლიერი; მაყურებელი კი, ხან - უბრალოდ თავს იქცევს, ხან - იღრუბლება, ხან კი, როლის „საუკეთესოდ“ შესრულებისათვის, მხურვალე შეძახილებით გვაჯილდოებს. არავის აინტერესებს, რამდენად ზის ეს როლი შენს ბუნებაში. აკმაყოფილებს თუ არა შენი ზნეობის ნორმებს...

სწორედ ასეთ დროს, ზოგჯერ, მსახიობი პროტესტს აცხადებს როლზე, სთმობს სცენას და იქიდან ჯერ კულისებში, (სადაც გმირულად იტანს მაყურებლის დამცინავ ქირქილს!) შეძლება კი, უკანა რიგში, დარბაზის იმ ნაწილში ინაცვლებს, სადაც მისი ბავშვობის ნაფეხურებზე, მოლოდინით დაღლილ ფუძის ანგელოზს ჩასძინებია.

გივი გელაშვილი ცხოვრების სცენიდან გაქცეული მარტოსული პროტესტანტია. მისი საგზალიც და ყავარჯენიც, – ალალმართალი კაცობა და იმ ლექსთა კრებულია, რომელიც ახლა თქვენს თვალწინაა გადაშლილი. ის კი, თუ როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე, – თქვენზე, ჩვენზე და იმათზეა დამოკიდებული, ვისაც ყოველდღე ესალმება, ვისაც შეჰარის და სთვლის, რომ მათ გარეშე სიცოცხლეს ერთი წამითაც არ ისურვებდა.

ბევრმა არ უწყის, ვის უფრო სჭირდება მხარდაჭერა, – ცხოვრების სცენაზე როლის „საუკეთესოდ“ შემსრულებელს თუ – კაცს, პოეტს, რომელმაც ბედთან ჭიდილი გაბედა...

კლარა გელაშვილი

ჩემი რწმენის გზა

მზით დავიბადე  
ომის დროს გავჩნდი,  
ერთი თავნება  
და ერთი ანცი,  
არ მიძებნია  
ქვეყნად სიმდიდრე,  
არ მიძენბია  
ოქრო და განძი.  
ვუფრთხილდებოდი  
სინდისს და ნამუსს,  
გამონაცვალი  
ჩავიცვი, ვპერე,  
ვუფრთხილდებოდი  
კაცობის სახელს,  
თუმც არ მრგებია  
სანაცვლო მერვ.  
არ დავრჩენილვარ  
იმედად სხვების  
და არც მქონია  
ძვირფასი თვლები,  
ჩემი სიმდიდრე  
ჩემი ხალხია  
მზის სინათლეა,  
ნათელი წლები.

არ გუდალატებ  
ჩემს მრწამს და რწმენას,  
ამ რწმენის გზაზე  
დავიქანცები,  
თუმც სხვა გამხდარა  
ზნეობა ქვეყნის,  
პატივს არ სცემენ  
არაკაცები.

2000 წელი  
ქვიშხეთი

## ქართველ ახალგაზრდებს

ვხედავ ქართული სისხლი გაქვთ ძარღვში,  
სატანის მახვილს არ უშინდებით,  
უცხო მჭლე სულმა არა რა გარგოთ  
და ოქვენ ჯიშში და გენში ბრუნდებით.

მამა-პაპათა ფუძე გეძახით,  
გეძახით ოქვენი დიდი წარსული,  
საუკუნეთა ქარცეცხლს გაუძლეს  
კვლავ ჩვენი პქვია, - ჩვენი ქართული!

2007 წელი.

საქართველო, ჩემო ტკბილო...

საქართველო, ჩემო ტკბილო...  
ლიხს იქით და ლიხს აქეთო,  
გევერები შენს მიწას, ცას  
ხან აქეთ და ხან იქითო.  
გაყოფილა საქართველო  
გაუყვია მაღალ მთებსო,  
ღმერთო, გული არ გაუყო  
არ გაუყო ქართველებსო!

1999 წელი

## სახლი

რა საშინელი  
სანახავია  
დაშლილი სახლი –  
კერაჩამქვრალი,  
ჩემი სამშობლოს  
და ჩემი ხალხის  
მარადი სევდა  
და ცრემლის პვალი.

2007 წელი  
ქვიშხეთი

### კარგია

კარგია, როცა არ გრჩება  
მიმავალს ქვეყნის ვალი,  
როცა არ გრჩება ოჯახს,  
უქმროდ, უშვილოდ ქალი.

კარგია, როცა რჩება,  
ხნული ნათელი კვალის,  
სახლში იმედად, ბურჯად,  
სიობო საყვარელ ქალის.

2000 წელი

## ადამიანს

გაჩნდა დალატი  
და ბოროტება,  
რაც შენ დამკვიდრდი  
ამ ღვთის მიწაზე,  
შიში, შიმშილი,  
სიკვდილი, ომი,  
აღარ თავდება დედამიწაზე.

2000 წელი  
ქვიშხეთი

\* \* \*

ბედის განგებავ,  
ჩემს მომავალზე  
მოგსურვებია  
ჩუმად ჩურჩული,  
საით მიგყარ,  
საით მიმათრევ,  
თვითონ უგზო და  
გზააბურდული.

2001 წელი  
ქვიშხეთი

\* \* \*

ეს ცხოვრება - ზამთრის დამის  
სულ პატარა მელოდია,  
სევდიანი პეიზაჟი,  
ცრემლიანი პაროდია.  
ეს ცხოვრება ლოდინია,  
ლოდინი და მოგონება,  
სიზმარივით წამს რომ ქრება  
მოჩვენება გეგონება,  
ხან რომ წყრება, ხან გიღიმის,  
ხან მღელვარე ხმიანია,  
ხან მწუხარე, დაღვრემილი,  
ხანაც ზოგჯერ მზიანია.  
ეს ცხოვრება თუ გიღიმის  
დეკემბერშიც აპრილია,  
სიყვარული თუკი გათბობს  
შველაფერი ადგილია.

2006 წელი  
ქვიშხეთი

## დედას

საწოლის თავთან დევს ყავარჯნები  
ძილში შფოთავხარ და ჩუმად კვნესი,  
დაწყევლილ ბედის ტიალ ჯამიდან  
ეველა სიმწარე და შხამი შესვი.  
სარკმლიდან უმზერ ქვეყანას და მზეს,  
რისთვის გსჯის ღმერთი, ო, რაღა მწამდეს?!  
არ ვიცი დედა, რად გერგო ეს გზა,  
უფალზე მლოცველს და მართალს ცამდე!  
რით განუგეშო, რით, შენ შემყურემ?!  
სულ წვალებაში, შრომაში დადნი,  
როგორ აკლია ამ ეზო-ყურეს  
შენი ხელების სითბო და მადლი.  
ვნატრობ ბავშვობის იმ ნეტარ წამებს  
როს არ მაკრობდა უამის უკუნი  
და ყავარჯნების სულში წამებად,  
მონოტონური ნელი კაპუნი.  
ნეტავი, ის დრო დაბრუნდებოდეს  
ტკბილად რომ ვთვლემდი შენს ნაჯაფ ხელზე,  
შენ მყავხარ მხოლოდ იმედად, დედა,  
ამ უზარმაზარ სამყაროს ველზე!

ქვიშხეთი, 1992 წელი

## წარსულის საშინელი აჩრდილი

მე დავიბადე სრულ წევდიდში, მხის ჩასვლის შემდეგ,  
სულებს რომ კლავდინენ და მუზები რომ დუმდებოდნენ,  
შხამს რომ თესავდნენ, შხამს იმკიდნენ, იყვნენ დვთის  
მგმობნი,  
სხვათა სიცოცხლეს ბედს სწირავდნენ, მით  
ერთობოდნენ.

ო, რა დრო იყო, საშინელი, რა ჯანდი ქროდა,  
სუსხი და ყინვა დაუნდობლად სულში რომ თოვდა,  
არ გამოითქმის, ვინ შეიძლებს, ვინ განსჯის სწორად  
მათ ამგვარ თარეშს რა სიმდაბლე, რა ბოლო ჰქონდა.  
გვამებით სავსე ვრცელ ჭაობში ჩაფლულნი მდორნი,  
მთელი სამყაროს ამ ჭაობად გარდაქმნის მდომნი,  
სულს რომ კორტნიდნენ და მიძნიდნენ, ვით ძერა-ქორნი,  
იმუქრებოდნენ, გაპყვიროდნენ გვამებზე მსხდომნი.  
აზრი მოკლული, ინტელექტი, თავისუფლება,  
სიცოცხლე ღირდა ჩალის ფასად, სული მონებდა,  
გაუქმებული, წარომეული წლები, ცხოვრება...  
აცნობიერებს ო, ვერასგზით ჩემი გონება!  
ვერ გადაურჩნენ, ვერ გაექცნენ განგების ბასრ ცელს,  
ბედნიერია, ვერ მოესწრო ვინც მათ ზეობას,  
დატოვეს სისხლი, მტრობა, შური და განსაცდელი  
სულს რომ აძრწუნებს და გვახსენებს მათ უზნეობას.

1996 წელი.

## მარტოობა

ო, მარტოობავ, როგორ თრგუნავ სულსა და სხეულს,  
ირგვლივ რომ გაკრავს მდუმარება და ფიქრის მოქბი,  
ფრთებმომსხვრეული ფრინველივით გამომწყვდეული  
ამაოდ ვცდილობ-სანავარდოდ გავშალო ფრთები.  
მინდა გავიქცე, შორს წავიდე, რომ დავიმალო,  
შენგან დადლილი, სადმე წუთით, თვალს მოვეფარო,  
ნეტავ რას დამდევ რას დამყევბი, სულ რომ მდარაჯობ,  
დარდს და ნაღველში განუყრელო ჩემო ამქარო!

თბილისი, 1986 წელი

## გახსენება

ტკბილი პანგებით ვის უხმობს გული,  
ორგვლივ რომ აფრქვევს ჯადოსნურ ბგერებს?  
ვდგავარ სარკმელთან გარინდებული,  
ნისლი მტკვარ გაღმით ეხვევა სერებს.  
კვნესის გიტარა და მახსენდება  
იმ განშორების ტკივილი მწარე,  
ბებერი ვერხვი მოწმეა სევდის(!)  
ლრუბლიან ცაზე მიმქრალა მთვარე...  
უკანასკნელი ის პაემანი,  
ის სიყვარული, სულს რომ აწამებს,  
წავიდა, გაქრა, ვით ბუშტი საპნის,  
ოცნებით დავდევ წარსულის წამებს.  
ჩემო ოცნებავ, სადა ხარ ნეტავ?  
გზა განშორების ცრემლებით ვნამე,  
მითხარ, რად დაშრა სიყვარულის ტბა,  
რად დამიტოვე ის სევდის დამე?  
შენ გეძებს, გიხმობს, შენ გნატრობს გული,  
მიღის სიცოცხლე, წლებიც ხუნდება,  
არ დაბრუნდება ის სიყვარული,  
აღარასოდეს, არ დაბრუნდება.

ქვიშხეთი, 1970 წელი

\* \* \*

დავემშვიდობე ჩემს ლამაზ თბილისს(!)  
ახლა სოფლად ვარ დამით და დღისით,  
მთა მომენატრა, ტყე, ნამი დილის,  
ვერ ავიტანე სიშორე მისი.  
გავშორდი დამდლელ გნიასს და სრბოლას  
ყრმობის ბილიკებს მივყვები ფრენით,  
აქ ნაცნობია ნიავის ქროლვაც,  
მეგებებიან ბავშვობის დღენი.

1991 წელი. ქვიშხეთი

## ო, წლებო, წლებო...

ო, წლებო, წლებო, ოცნების წლებო...  
საით გაფრინდით, სად გაქრით, სადა?!  
მომტაცეთ ურჩი ახალგაზრდობა  
და დამიტოვეთ ფიქრი და სევდა.  
მომტაცეთ ქვეყნად ჩემი იმედი,  
გული მღელვარეც თქვენს სრბოლას გაჟყვა,  
თავდავიწყებით რომ ვაჭენებდი,  
აღარ მყავს რაში თქვენ დროს რომ მყავდა.  
აღარ მყავს რაში, მფრინავი რაში,  
ცველოვან ფრთხით დრუბლებს რომ კვთდა,  
აღვირახსნილი თოვლსა და ქარში,  
ჭიხვინ-ჭიხვინით ბედს რომ დასდევდა.  
პეტ, სად არის შემდგარი ყალყზე,  
ჩემი მერანი მთებზე მფრინავი?  
რომ ძველებურად მოვევლო ზურგზე  
და გავაქროლო, როგორც ნიავი!

1985 წელი. ქვიშხეთი

რით განვსხვავდებით ძაღლო მე და შენ

რით განვსხვავდებით ძაღლო მე და შენ?  
ორივეს გვარჩენს პური და წყალი,  
მეც ხომ ლუკმისთვის დავძრწი შენსავით  
და კიდით-კიდე მიწევს წანწალი!...  
ლუკმის ლოდინში შენ კუდს აწვალებ,  
მე ნიდაბს ვირგებ როცა ვიცინი  
და ამ ცხოვრებამ მეც ხომ მასწავლა  
შენებრ ლაქუცი, კუდის ქიცინი.  
მეც ხომ შენსავით მტანჯავს ცხოვრება,  
მეც ხომ შენსავით ვდრინავ და ვყეფავ,  
მეც ხომ სამადლოდ მიგდებენ ლუკმას  
და განსხვავება რაღაა ნეტაგ?!

თბილისი. 1983 წელი

### წმინდა მარიამის ეკლესიაზე

აღარ შფოთავენ! - ყველა წყნარად წევს,  
ძეგლებს ეფრქმევა მკრთალი ნათება,  
ჩამცხრალა ოდეს ვნებები მწველი  
გზა ბეწვის ხიდზე, ო, აქ თავდება.

ედემის ბაღი, ლაუგარდი ზეცა,  
ზღაპრად ვინ შექმნა, ანდა ვისია...  
ედემის ბაღში რაღ მრავლობს ცოდვა,  
თუკი ედემი არავისია?!

ყოფა, – ეს მოკლე წუთისოფელი,  
უფალო, მითხარ მოკვდავთ მისია,  
ედემის ბაღი, ლაუგარდი ზეცა,  
ზღაპრად ვინ შექმნა, ანდა ვისია?!

1980 წელი. თბილისი

## უცნობ ქალს

ქალი — მზე ალვა გნახე,  
ო, ნეტავ არ მენახე,  
შენ ხარ, შენ, ე, მაგ ეშხით  
მონადირეც და მახეც.  
ვინ შეგქმნა, ვინა ქალო,  
ვინ დაგამშვენა ასე?!  
დედამ გამზარდა მეცა,  
ქალო, რაზე მკლავ, რაზე?!  
დღე დღეს მიჰყვება, მიდის,  
შენს ნაფეხურებს დავდევ,  
უფლება მომეც, ამ თავს  
შენს სიყვარულზე დავდებ.  
თითქოს ნათდება ზეცა  
შენი თვალების ალზე,  
წახვალ - ვინ იცის საით,  
მომენატრები ძალზე.  
წახვალ - გაქრები ისე,  
ვით შექი მზისა ცაზე,  
სულ არ ინაღვლებ ვის კლავს  
დარდი ერთ ლამაზ ქალზე.

1983 წელი. ესენტუკი.

## გახსენება

ვიხსენებ სოფლის მტირალა წნორებს,  
წარსული წლების სურნელი მათრობს,  
გაგხედავ სევდით დაბინდულ შორეთს  
და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ.  
გამახსენდება პატარა მებრე,  
ნახირს სიმღერით მოჰყვება თავქვე,  
ახლაც, გარდასულ დღეების მერე,  
მინდა იმ სოფლის ბილიკებს გავყვე.  
მოდის ამაყად, უდიმის სახე,  
გალაღებული, მზისგან დამწვარი,  
უჭირავს იჯნის მოქნილი სახე,  
არტყია წელზე ლახტის ქამარი.  
ახლაც ჩამესმის სნეული დედის  
ლოცვა - კურთხევა და ჩუმი კვნესა,  
ასე მგონია, დაღლილი მკერდი  
დედის ღიმილით მითბება დღესაც.  
ვიხსენებ სოფლის მტირალა წნორებს,  
წარსული წლების სურნელი მათრობს,  
გაგხედავ სევდით დაბინდულ შორეთს  
და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ.

თბილისი, 1980 წელი.

## პეტრე ბაგრატიონს

ამ რამდენიმე წლის წინ,  
ბოროდინოში, ბაგრატიონის საფლავი  
ააფეთქეს და ძვლები მიწიდან ამოყარეს...

თუმც რუსეთისთვის გმირი ხარ ქველი,  
არ ეხატები მაინც კი გულზე,  
ბოროდინოსთან, შენს ნაომარ ძვლებს  
ქარი დასტირის გაფანტულს ველზე.  
რუსული ხიშტის დიდებისათვის  
ელგარე მახვილს მკერდს უხვედრებდი,  
იქ კი სამშობლო ბედდაკარგული  
მჩერთან საომრად უხმობდა მხედრებს.  
არ ეხატები მკვდარიც კი გულზე,  
ამაგს გიხდიან ბოლმით და რისხვით,  
სამშობლოში კი ძეგლი აგიგეს,  
ო, ღმერთო ჩემო, არ ვიცი რისთვის!

თბილისი, 1985 წელი

### შედარება

კაცი თვით გავს ღორს  
თავის სიხარბით,  
ღორს კი დაერქვა  
მისი სახელი,  
ღორი გაძლება,  
იქვე მიწვება  
კაცი გამძლარი  
ოხრობს ავხელი;  
საქართველოზე ჰიმნს  
გვიმდერიან,  
ყაჩაღების და  
ქურდების ხორი,  
კაცის სიხარბეს,  
გაუმაძღვრობას,  
ვინ შეედრება,  
რომელი ღორი?!

2003 წელი

## სონები

გახსოვს? - ვმდეროდით  
ტოლებთან ბალში...  
კჲ, წლები გვქონდა  
ყვავილთა დარი  
და დაგვნათოდა  
ცის კამარიდან  
ოქროს ფერებად  
ნათელი მთვარის.  
ვმდეროდით გრძნობით,  
ჩვენი გულები  
სიყვარულით და  
სინაზით ორთოდა  
და შეგამჩნიე,  
მთვარის სხივებზე,  
წამწამთა შორის  
ცრემლები კრთოდა.  
ნაზად მდეროდი,  
ლამაზი ბაგით,  
ბულბულის ხმაზე  
ტკბილად გალობდი  
და მე შემშურდა,  
შემშურდა იმის,  
იმ მწუხრის დამეს  
ვისზეც დარდობდი!

1980 წელი, ქვიშეთი

## სიმშვიდე

თავისუფლებას  
მივესწრაფით,  
ხან ლოცვით, ხან ხმლით,  
ლტოლვა ამგვარი  
შეუცნობლად  
ყველას გულში აქვს,  
ნამდვილ სიმშვიდეს  
ვეღირსებით  
მხოლოდ იმ სახით,—  
მშოთვარე გზაზე  
ადევნებულ  
სიკვდილს რომ მოაქვს!

1989 წელი

## წვიმა

გადაუღებლად  
წვიმს და წვიმს ისევ,  
მიწას და ზეცას  
შეუკრავს პირი.  
ჩემი ცხოვრების  
უღრან ბილიკზეც,  
წვიმა დამდევს და  
თავზე დამტირის!

## გახსენება მტკვრის ნაპირებთან

მტკვარო, შენს ზვირთებს თუ ახსოვს ბიჭი,  
ერთი შავტუხა, დაუდეგარი,  
ტალღებს მხარულით რომ მიარღვევდა,  
აღმა თუ დაღმა, ვით ნიავ-ქარი!?

შენს მზისფერ ჩქერებს ეომებოდა  
ბიჭებიც ახლდა გვერდით ყევარი,  
ხან შენს ხავსიან ნაპირთან რბოდა  
იყო თაგნება, დაუდეგარი.

ჩაეხვეოდა შენს ზვირთთა წყებას,  
ეჯიბრებოდა მათ გიჟურ სრბოლას  
ხან კი მართავდა თავდავიწყებით  
შენ გრილ ტალღებთან ჭიდილს და  
სრბოლას.

ეწვენებოდა ცხოვრება რთული,  
აჭრელებული ლამაზ ფერებით  
და მოდუდუნე ტალღებს ყვებოდა  
გული ოცნებით ანამღერები.

ვკ, მკვრის ტალღებო, ნეტავი იმ დროს  
რომ ლივლივებდით ალერსით მკერდზე,  
სიცოცხლე მისოვის რომ მიხაროდა,  
გული რომ მცემდა, ლამაზზე ერთზე.

პეი, სად არის ის დრო ნეტარი,  
წლები ლამაზი, როგორც ჩანჩქერი,  
ან იმ ცხოვრების წლები სად არის  
შენს ზვირთებივით ლადად მჩქეფარი?

აქ ჩაიარეს, აქ, იმ ტალღებმა,  
მე რომ მატკბობდა, მე რომ მიყვარდა,  
ყველა ოცნება თავნება ბალღის  
იმ ტალღებივით გაუჩინარდა.

ქვიშხეთი, 1990 წელი

## ძიას

როგორ გინდოდა, რომ ოჯახთან შენი ცხოვრება,  
აწყობილიყო და ჭაპანი ტკბილად გეწია,  
მაგრამ სურვილი ო, ვერ შეცვლის განგების ნებას,  
უბედო კაცის ბედი გზად რომ წამოგეწია.  
სამარის ქვიდან შემომცქერი ღიმილით ახლა,  
ეს, სევდით უცქერ შენს საფლავზე ამოსულ იას...  
მე და შენ ერთად ჭიქა დგინით შეგვისვავს, ბევრჯერ,  
შესანდობარი წინაპრების და ხსოვნის, ძია.  
შენი მოვლილი ეზო-ყურე სულ გაპარტახადა,  
გადახნეს ბაღი, გახმა ზვარი, ვენახით სავსე,  
მიტოვებული უპატრონოდ გზის პირას სახლი  
აქ შენს ფუძეზე მოწყენილი დგას ჯერაც ისევ.  
ჩვენს ძველ ფუძეზე ჩვენი მოდგმა არავინ დარჩა,  
უყურო ქვეყნად შენს ნასახლარს ო, რა ძნელია,  
სულ მენატრება შენთან ყოფნა და საუბარი,  
გული ფიქრებით და ნაღველით მევსება ძია!

1980 წელი. ქვიშხეთი.

## შვილებს

ტიალი ჟამი, ო, სრბოლა წლების  
თქვენს ლამაზ სახეს ჭადარით მორთავს,  
სიზმრად გაჰყვება ბავშვობა დღეებს,  
თქვენ ჩემო დარდო, თქვენ ჩემო ორთავ!  
ლვთიური მადლი, დიმილი სათხო,  
გზას გინათებდეთ უკუნში მუდამ,  
თუმც კი არსებობს შური და გესლი  
აგს ნუ გაივლებთ, ამაღლდეთ უნდა.  
მოკლე, წარმავალ წუთისოფელში  
ყველას მფარველი დმერთია მხოლოდ,  
მიენდეთ უფალს, ის გაპოვნინებთ  
ჭეშმარიტების საწყისს და ბოლოს.  
თქვენი საწოლის კიდესთან თეთრად  
დამეებს ვტეხდი ნაღველით სავსე,  
თავს გევლებოდით, გეფერებოდით,  
ჩემს ერთადერთ განძს ამ ქვეყანაზე.  
აქ განუყრელად, სულ ჩემთან არის  
ვით საგანძურის ძვირფასი თვალი,  
შემორჩენილი კედელზე, ფანქრით,  
თქვენი პატარა ხელების კვალი.  
უთქვენოდ აქ მზეც მოწყენილია,  
გული სულ მუდამ ფიქრებში ბორგავს,  
თქენს გზა-კვალს ვლოცავ, თქვენს ნაფეხურებს,  
თქვენ, ჩემო დარდო, თქვენ, ჩემო ორთავ!

1992 წელი, ქვიშეთი

## შვილებს

თქვენზე ფიქრებში თენდება დამგ,  
ლოცვაში ვხვდები ყოველ განთიადს,  
მე სხვა სიმდიდრე არა მინდა რა, –  
ჩემო თეონა, ჩემო ნათია...

სხვა - ყველაფერი მოგონილია,  
აკრავს ქვეყანას შავი მანტია,  
ცხოვრებისაგან დაღლილი გული,  
თქვენით ცოცხლობს და თქვენით ანთია.

1989 წელი თბილისი

### თიბათვე

მშობლიურ გზებზე ვერავინ დამდლის  
მამას მივყვები შურდულით ხელში,  
კუდის ქიცინით წინ მირბის ძაღლი,  
ისმის ჩანჩქერის ხმაური ხევში.

თიბათვისთვეა, სრიალებს ცელი,  
გაშლილ თელის ქვეშ ჩუხჩუხებს წყარო,  
მწვანედ ბიბინებს ირგვლივ მთა-ველი,  
ნათელი ცაა, ბაალი გვწყალობს.  
ნასამხრალი მზე ჩამავალ სხივებს  
მთის ფერდობებზე უღონოდ ფანტაგს,  
გზის პირას წვანან ლომა ხარები  
იცოხნებიან, ფშვინავენ ზანტად.

საცაა უკვე დაგადგამო უღელს  
და როცა ბინდი ფრინველებს აშლის,  
წავიდებთ მთის და ველების სურნელს,  
დაღლილებს დედა მიგველის სახლში.

თბილისი, 1990 წელი

## მონატრება

სკოლის მახლობლად ძველი ტაძრის კედელთან, მაშინ,  
ხავსმოდებული სადაც ყრია დიდი ლოდები,  
საოცნებო ზარს, პაემანზე შეხვედრის ნიშანს  
მოუთმენლად და სასოებით ველოდებოდით.

აქ მოველ, ისევ მომენატრე, სადა ხარ ნეტავ,  
მასსოვს ამ ქაზე ჩამოდებდი მოსწავლის ჩანთას,  
შორეულ წლების სითბო გულში საამოდ წვეთავს,  
ასე მგონია, რომ საცაა მოირბენ ჩემთან.

თითქოს ზარს რეკენ, მოლოდინი გულს ორად მიყოფს,  
დაუფლებია სხეულს თრთოლვა და მღელვარება,  
რა კარგი იყო, ჩემო კარგო, შენს გვერდით ყოფნა,  
მაშინ მზე უფრო ანათებდა და ელვარებდა.

სკოლის მახლობლად, ძველი ტაძრის კედელთან, მაშინ,  
ხავსმოდებული, სადაც ყრია დიდი ლოდები,  
საოცნებო ზარს პაემანზე შეხვედრის ნიშანს  
მოუთმენლად და სასოებით ველოდებოდით.

1983 წელი, თბილისი

## ფიქრია ჯულუხაძეს

ჩემს ლამაზ, პატარა მეგობარს

იქნებ ქვეყანა შენი სარკმლიდან  
მოსჩანს ბინდისფრად მთელი სამყარო,  
ო, ღმერთმა ნუ ქნას, და თუ ასეა  
მსურს შენს ცხოვრებას ბინდი გავყარო.

შეხედე, ირგვლივ რა ფერებია(!)  
ციდან მუზები შენკენ მოჰქრიან,  
შენ აგირჩიეს დღეს მათ დედოფლად,  
შენს ირგვლივ როკვენ, ჩემო ფიქრია!

ვიცი, მალე მზე სხივებს მიაფრქვევს  
შენი ცხოვრების ლურჯ გადასახედს,  
მჯერა, ღიმილი გადაშლის ნაღველს  
და გაანათებს შენს ლამაზ სახეს!

1999 წლის 23 სექტემბერი

## ქვიშხეთი

ვერ შეგელევი, ვერასდროს დაგთმობ,  
შენთან მამყოფა სულ მუდამ ნეტავ,  
სიშორეს შენთან გული ვერ ითმენს  
მინდა ყოველთვის რომ ვიყოთ ერთად.  
როს მენატრება შენი სერები  
შენკენ მოვყავარ შორიდან სიზმრებს,  
ძილში გულიმი და ვეფერები  
ტოლებთან ნარბენ გზებსა და მინდვრებს.  
თავს შევიყრიდით ბიჭები, მასსოვს  
ველზე ყვავილთა სურნელი იდგა,  
სოფლის ნახირიც იქ ძოვდა ახლოს  
ჩემი „ლამაზა“ სულ თვალწინ მიდგას...  
ლხინი, გართობა, ლახტი, შურდული  
ხან ვჭიდაობდით და ხან ბურთს ვდევდით,  
განშორებისას კვნესოდა გული  
და მევსებოდა თვალები სევდით.  
შენთან დავტოვე ჩემო სოფელო,  
დღეები ტაბილი და მხიარული,  
შორეულ გზებზე თან დამყვებოდა  
შენი ხატება და სიყვარული.  
ჩემი ბაგშობის ტაბილო ზმანებავ,  
შენს ყოველ ბილის ვეალერსები,  
ჩემო სამშობლოვ, შენ შემოგევლოს,  
ჩემი გულიც, და ჩემი ლექსებიც.

1981 წელი

## ტელევიზორი

უუმზერ ეკრანს და  
ვნება არ ცხრება,  
მოსჩანს მღელვარე  
ჩვენი ცხოვრება –  
ქვეყნის ამბები  
ნაირ-ნაირი,  
ტყუილ მართალი,  
ზოგი შაირი,  
ზოგი შინიდან,  
ზოგი გადმიდან,  
ცხელი ამბები  
ყველა არხიდან.  
ეს დიქტატორი,  
ეს დემოკრატი,  
ეს სექსბომბაა  
ლედი - მონიკა,  
მოსჩანს მჩქეფარე,  
მოსჩანს მღელვარე,  
ჩვენი ცხოვრების  
დღეთა ქრონიკა.  
მოსჩანს ლიმილი,  
მოსჩანს ცრემლები,  
მოსჩანს ტკივილი -  
სავსე პირთამდე,  
მოსჩანს ვარამი  
წუთისოფელის,-

ჩვენი მოკლე გზა  
ბეჭვის ხიდამდე.  
მოსჩანს ეკრანზე  
ხელისგულივით –  
ჩვენი ცხოვრება,  
ჩვენი სიყალბე!

2007 წელი

\* \* \*

### კლარა გელაშვილს

ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი ხარ,  
მაგრამ ამიტომ არ გეფერები(!)  
იმისთვის, ყველას დარდი რომ გტკივა,  
რომ გსურს ყველასთვის იისფერები.

ცოტა თუ დარჩა დღეს ქვეყანაზე,  
ვისაც აწუხებს ვისიმე ბედი,  
ვისაც მომავლის დარდი ფიქრით დღის  
და გაყიდული სამშობლოს ხვედრი.

მჯერა, შვილებს შენ ისე გამოზრდი,  
რომ ოქროსფერმა არ მოსჭრათ თვალი,  
ხატად სამშობლო გაჟყვებათ სავალს,  
ფარად კი ლოცვა - ქართველი ქალის!

2003 წ. 4 აპრილი  
ქვიშხეთი

კიდევ იცავსთ!

კუძღვნი ხაშურის მხარეთმცოდნეობის  
მუქუმის მშვინიერ ქალბატონებს.

საოცრად ლამაზბა, თბილბა საზეიმო საღამომ,  
რომელიც გაიმართა მუზეუმის დღესთან  
დაკავშირებით, განუმეორებელი შთაბეჭდი-  
ლება დატოვა ჩემზე.

თქვენს ღიმილიან სახეს რომ კუმზერ  
დარდი, ნაღველი სულ მავიწყდება,  
ამ ცივ, გლუვ კედლებს ცეკვით რომ ათბობთ,  
თითქოს კედლები შუქით ბრწყინდება.  
იცეპვეთ კიდევ, კიდევ იცეპვეთ,  
ო, ამჯობს რხევა მინდვრის ყვავილებს,  
ცეკვის შემდეგაც ნუ, ნუ მოიწყენო,  
მე ლექსებს გეტვით ცეკვით დაღლილებს.  
აავსეთ ბნელი დარბაზის თაღი  
თქვენი ღიმილით და სიმღერებით,  
მე თქვენ ყოველთვის დაგიწერო ლექსებს  
და სულყოველთვის მოგეფერებით!

1998 წელი. ქვიშხეთი.  
18 მაისი

### გახსენება

დიდი რუსეთის ერთ ძველ ხუტორში,  
ლამაზი ქალი გულს ჩამივარდა.  
ლურჯთვალება და ქერაომიანი  
ო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა...  
დღეს პატანზე აღარ მოვიდა,  
მის შესახვედრად მივიჩქაროდი,  
აღარ მოვიდა ჩემი საუნჯე,  
ო, დმერთო ჩემო, როგორ ველოდი!  
ვაკოცე იმ დღეს, გამინაწყენდა,  
ჰავა ამკაცრებს აქ ტურფა ქალებს,  
გოროზ ციმბირელს კოცნით გაგუთბობ  
მე იმ სუსხიან და ცისფერ თვალებს.

1976 წელი. ობილისი.

## ორმოცდაათი წლის გავხდი უკვე

ორმოცდაათი წლის გავხდი უკვე...  
საშინელ დრო-უამს მოუწამლავს ხალხიც და არეც.  
ზეობს ურჩხული და დარაჯობს ჩემს ციხის კარგბს,  
სული დაქანცა, სული კლტვის უგრძნობ ბრძოთ თარქშე.  
ორმოცდაათი წელიწადი ვატარებ თალხებს...  
ციხის კედლებში მარტოობას და ნახავთ ნაღველს,  
მახინჯ კანონებს, ციხის ჯალათს და მავთულხლართებს,  
ეპოქის სირცხვილს, ჩვენს ვაებას და ციხის დამდებს.  
ჩამკეტეს, შემკრეს, დამადუმეს, წამართვეს სული,  
გულში რაც ეხოო ჩაიფერფლა, ჩანაცრდა ცეცხლი,  
ყრია ნაგავში ფასეული და ლირებული,  
გაუფასურდა ყოველივე, ოქროც და ვერცხლიც.  
მიდის, მიღოღავს ეს უაზრო ყოფა დამდლელი,  
მიდის ცხოვრება ულაზათო, ვადაგასული,  
მიდის მივყვები წყევლა-კრულვით, კვნესით, ნაღველით,  
ხელფეხეკრული, სულზე კლიტით გადარაზული.  
აპა, მთავრდება სისხლიანი ეს მარათონი  
და იმპერიის აგონიის ხრჭიალებს თვლები,  
ახალ თაობებს გაზრდის წლები, მე კი შემომრჩა  
ჩამონგრეული ცხოვრება და სიბერის წლები!

1989 წელი. თბილისი.

## გოგი გუდაძის ხსოვნას!

ბაგშვილისას, გოგის, მამამ უყიდა ჯიპის მაგვარი ხელით ნაკეთი ავტომობილი, რომელსაც გვერდებზე ეწერა “ქვიშხეთი”. დღეს ადარც გოგია, ადარც მამა. ავტომობილი წლების მანძილზე უპატრონოდ ეგდო სახლის შესახვლელთან...

ჩვენი ბავშვობის ეს უტყვი მოწმე,  
ეხლაც აქ გდია პირმაღთან ისევ,  
ჩვენი წარსულის წლებს რომ აცოცხლებს  
და გულს ცრემლით და სევდით რომ აგსებს.

გალაღებულნი ამ რკინის რაშით,  
დავქროდით ერთ დროს ქვიშხეთის გზებზე  
და ყველას ახსოვს ანცი ბიჭების  
დამწვარი სახე ქარზე და მზეზე.

ეს, რკინის რაშო, ქცეულხარ ჯართად  
და მოგდებია გარს ჟანგის ტონი,  
სად გაქრა ნეტავ, რომ მენატრება,  
ის ანცი ბიჭი, შენი პატრონი?

ეს ეზო ყურე რომ მოწყენილა  
და ეპალ ბარდი რომ ხარობს ასე,  
მოვლილი იყო და იყო ერთ დროს  
აყვავებული, სიცოცხლით საგსე!

1997 წელი  
ქვიშხეთი

## ცდა

ცდილობს რომ იქცეს  
ადამიანად...  
იყენებს მომენტს  
და წუთებს ყოველს;  
რაც უფრო ცდილობს,  
მეტად ემსგავსის  
მტაცებელ ნადირს  
და ველურ ცხოველს.

1997 წელი, ქვიშხეთი

მიწის მატლი

ეს უბადრუკი  
ჩვენი ცხოვრება,  
ვხედავ, რა რიგად  
უბადრუკდება,  
როცა უღირსი  
და მიწის მატლი,  
რბილ საგარძელზე  
აცუნდრუკდება!

## გასხვისებული ცხოვრება

ცხოვრება შენი  
გაასხვისეს, გისჯიან ცრემლებს.  
სამშობლო შენი, –  
საჭურისებს და დარჩათ მწყემსებს;  
საუნჯე ჩვენი,  
გაატანეს წყალსა და მეწყერს,  
ხელისუფლება,  
ხელთ უპყრიათ უცხოთა მძევლებს!

2006 წელი, ქვიშხეთი

## შენი სურნელი

წარსულის ლანდებს  
წლების შრე ფარავს  
და განშორების  
სევდის სამანი,  
ეს გაზაფხული  
შენ თავს მაგონებს,  
ეს გაფურჩქნული  
იასამანი.  
ერთურთს ჟამთასგლა  
გვყოფს და გვაშორებს,  
ეს უნაპირო  
სამყარო დარდის.  
ხარბად ვიყნოსავ  
ყვავილთა სურნელს,  
რომელსაც შენი  
სურნელი ასდის!

1996 წელი

ლეგის გზა

სახელი მტრების სახსოვრად,  
ეს გოლგოთის გზა ჩვენია,  
ტკიფილად შერჩა სამშობლოს,  
ჭრილობად შემორჩენია!

2001 წელი

ყალბი ცხოვრებით, ყალბი ფიქრებით,  
ყალბი სიტყვებით და ყალბი აღზრდით,  
სამოცდაათი წელი ო, ამ გზით  
დაჭვნა რამდენი ნიჭი და აზრი!

1991 წელი

\* \* \*

დავთესე, დავრგე,  
იხარა ნერგმა.  
დაიყვავილა,  
შეიბა კვირტი.  
მომცა ნაყოფი.  
გახმება?- მოვჭრი!  
გავჩნდი, გავმრავლდი  
ჩემს საქმეს მოვრჩი!

1990 წელი თბილისი

\* \* \*

დავთესე, დავრგვა,  
იხარა ნერგმა.  
დაიყვავილა,  
შეიბა კვირტი.  
მომცა ნაყოფი.  
გახმება?- მოვჭრი!  
გავჩნდი, გაგმრავლდი  
ჩემს საქმეს მოვრჩი!

1990 წელი თბილისი

სხივს სიცოცხლისას

ხშირად საკუთარ  
თავს ვერ ვერევი,  
თუმც ვებრძვი გრძნობებს  
და ვეურჩები,

## ცხენი

თავისუფლებას  
და ლადად ნავარდს  
დრო ულმობელი  
ქამანდით სდევდა,  
ბედსშერიგებულს  
თვალებში უკრთის  
თვალუწვდენელი  
ტრამალის სევდა!

1990 წელი. ობილისი

## რჩეულთა ხვედრი

ფრინველთა მეფე  
გოროზი მზერით  
თავს დასტრიალებს  
კლდოვან ქარაფებს,  
ასე ნუ ფრენო,  
ვინ ეტყვის ზევით,  
თავისუფალი  
არ ცნობს ქარაგმებს!  
აქ ვინ გაბედავს  
ამგვარად ნავარდს?!  
სხვა სურათია  
მიწაზე, დაბლა,-  
დაბადებიდან  
ფრთებს რომ აჭრიან,  
რომ ვერ აფრინდეს  
მზისაკენ, მაღლა!

1987 წელი. ობილისი

## სამშობლოს ტკივილი

ჩემს სამშობლოში სიცივეა -  
თოვლია დიდი!  
საბრალო ხალხი ვედარ უძლებს  
ცხოვრებას დუხშირს,  
სწორედ ამიტომ იხიზნება,  
იყრება, მიდის,  
ჩემს სამშობლოში სიცივეა, -  
შიათ და უჭირთ!

2006 წელი. ქვიშხეთი

მიწა

მიწა, – საცხოვრად სამარხად,  
მიწა, – საზრდოდ და საძოვრად,  
მიწა, – წამებად, წვალებად,  
მიწა, – საბრძოლოდ საომრად,  
მიწა, – ფიქრებად დარღებად,  
გზა-გზა უკლებად ვარღებად,  
მიწა სიზმრებად ქრება და -  
წარსულს სახსოვრად ბარღება.

2005 წელი. ქვიშხეთი

ამინდი

ნუ იწუნებულები ამინდო,  
მზე გვინდა, წვიმა კი არა,  
ვედარ მივდექ და მოვდექი,  
გულსა ხარ, როგორც იარა.

2003 წელი, ქვიშხეთი

## სინაზული

თუ მარტოხელა მოხუც ქალად  
იქეცი ოდეს,  
დაუფიქრდები, გაიხსენებ  
და განსჯი ყოველს!  
იტყვი: ის ერთი ჩემს ნატვრაში  
შეადნა წარსულს!..  
მარტოდმარტოს რომ დაგიზამთრდეს  
ო, როგორ არ მსურს!

## უაზრო ყოფა

დღე ბორიალში,  
ფიქრებში გადის,  
სულში გროვდება  
ცერტლი და ნამწვი.  
ხან წყალს შევსვამ და  
ხან დვინოს-მარნის,  
ხან კი ქუჩაში  
უაზროდ დაგძრწი.  
ხან, წიგნს ვკითხულობ,  
ხან, ყანას ვმარგლი,  
ხან, ძალი მართობს,  
ხან, ხალხი ბაზრის,  
ხან, ცას შევუურებ,  
ხან, კოკორს ვარდის,  
ვერ ვავსებ მაინც  
სიცოცხლეს აზრით!

1991 წელი

### აღვირი ახსნეს

აღვირი ახსნეს გაუხედნავ  
უწვრთნელ ულაყებს,  
დანაგარდობენ ქუჩა-ქუჩა  
ტლინკების სროლით,  
ჭიხვინ-ჭიხვინით გადადიან  
გიჟურ მალაყებს,  
შეძრეს ქვეყანა, შეაჯერეს  
ველური სრბოლით,  
პატრონი მწვრთნელი, გადათელეს,  
ჩაწიხლეს ფეხით,  
ყველა ბალიდან და ყანიდან  
იღებენ სინჯებს,  
შლიან სამანებს, ყველა საზღვრებს  
არ ცნობენ ვიზებს,  
კანონის დაცვას ვინ შებედავს,  
ვინ მოთხოვს გიჟებს!

2003 წელი

## მამული

ფულზე გაყიდულ  
სამშობლოს ვდარდობ;  
ორგულს დიდება  
და ფული ართობს.  
ვხედავ - სატანა  
ლაღობს, ნავარდობს,  
თვისტომი ისევ  
მამულით ჩარჩობს.

2003 წელი.

\* \* \*

როდემდე, ნეტავ როდემდე,  
სული როდემდე წეწონ,  
სიმწირე, ასე როდემდე  
სული, სულ ერთი ბეწო!  
პეი, რას გადამეკიდეთ,  
ადარ მშორდები დარდო?!  
ადამის მოდგმავ, უჯიშოვ,  
ხშირად ბოროტს თეს მარტო!

2006 წელი.

მზიას!

ამ მაგიდასთან, ყვავილებს შორის,  
წლები მიქრიან ერთგულად იღწვი,  
ნეტავ, თუ ოდეს დაგიფასდება  
ეს სიყვარული, ასე რომ იწვი?!

აგროვებ, კინძავ, ქამთასვლის ფურცლებს  
მაგ გამრჯე ქალის ლამაზ ხელებით,  
შენს ყოველ საქმეს ახლავს სურნელი  
მშობელი მიწის მინდორ-ველების.

ჩვენი წარსული წლების საგანძურს  
უვლი, სათუთად დალოლიავებ,  
აღნუსხავ ყოველ ნივთს და უნიკუმს,  
ზოგს მტვერს აშორებ, ზოგს ანიავებ...

ხშირად საქმისთვის დავობ და იბრძვი  
მას ეწირება ცრემლები შენი,  
ამ ერთგულებას, ამ თავდადებას,  
შენი ტირილი და ცრემლიც შვენის.

დღეს ამ ცხოვრების მდელვარე გზაზე,  
ხარ რიგში ქართველ, დირსეულ ქალთა,  
ყვაოდე მუდამ, აგშორებოდეს  
ავდარი წლები, სიავე ქამთა!

2004 წელი  
1 თებერვალი

## ნადვლიანი დრო

ბურაგს მიდამოს  
ნისლების თალხი  
და განძარცულა  
ყველგან ხეები,  
ჩაჟამებული  
და უსახური  
ჩვენი ცხოვრების  
მიდის დღეები...  
აღარც სიცოცხლე,  
აღარც სიკვდილი,  
არც ჩანგი, ფუნჯი,  
აღარც სალონი,  
გავერანებულ  
მამულში მეფობს,  
ძარცვა-გლეჯა და,  
ბრძოთა კანონი!

1993 წელი

## ბედნიერება

ბედნიერება  
თუ კი არსებობს –  
წუთისოფელის  
ურჩი მდგმურების,  
– ეს არის კარგი:  
მშობლები, და-მმა,  
კარგი მეუღლე  
და მეგობრები.  
კარგი მოყვასი  
და მეზობლები,  
ნორჩი ბავშვები,  
ჩვენი ნერგები,  
კარგი ფიქრები,  
კარგი ზრახვანი  
და სიბრძნე წლების,  
როცა ბერდები.

2000 წელი, ქვიშეეთი

## ბოლო წუთები

მე წარმოვიდგენ  
სახლში ბოლო დღეს,  
იმ ბოლო წუთებს  
სიკვდილთან ბრძოლის,  
როცა იმსხვრევა  
ყველა სიმაგრე  
ნაგები ყველა  
კოშკები ბროლის.

2001 წელი, ქვიშხეთი

მეგობარს  
გურამ ყორანაშვილს

ჭეშმარიტების შორ გზაზე  
რა ძნელი გასავლელია,  
რამდენი შური და ღვარძლი,  
ღმერთო, რამდენი მტერია!  
მადლიერების სანაცვლოდ  
გიღრენენ ნაწერ-არზებით,  
ეს გულნამცეცა, პატარა,  
წუთისოფელის მგზავრები.  
ყალბი არც საქმე, არც სიტყვა  
და არც მანტია დიდების,  
სიტყვა სამშობლოს სჭირდება  
და გზაა კაცის დირსების!

2006 წელი  
ქვიშხეთი.

## ნატვრა

დღეს მას აქებენ, მის გარშემო  
იკრიბებიან.  
ის ზარ-ზეიმით ახალ-ახალ  
მიღწევებს აცხობს;  
შურით აღვსილნი ზეცისაკენ  
ნაბავენ თვალებს:  
- ო, ო მაღლია ეს თავხედი  
ძირს დაენარცხოს!

## პჭეო

თავგამოდებით ასე რომ ვეძებთ,  
ბედნიერება არის კი სადმე?  
სიკვდილი სიცილს ვედარ იკავებს,  
ჩასაფრებულა ჩვენს ფეხრთით აქვე.

თავს რომ ვიტყუებ, განა არ ვიცი  
ზოგს რომ ვგონივარ ვითომ მაგარი,  
თავის ხერხი აქვს ყველას საშველად,  
კაცის საშველი?.. ვინ თქვა, სად არის?!

1998 წელი

აღარ მიყვარხარ ზამთარო

აღარ მიყვარხარ ზამთარო,  
ბრაზიან ძაღლსა გავხარო,  
სულ შეტევაზე მოდიხარ  
მაცნე სიკეთის არ ხარო.

მაზარალებ და მაწვალებ,  
მტერს და ბოროტსა გავხარო,  
საშველს არ მაძლევ, გასაქანს,  
ავი და მკაცრი რამ ხარო.

ამბურბგლავ, ამაკანკალებ,  
ხან ცხვირს, ხან ყურებს მომწვავო,  
მომივარდები ყინვებით  
გწყევლი შენს ჯიშს და გვარსაო.

გადარებ მომხვდურ ურჯულოს,  
მოდალატეს და გამცემსო,  
ამაბარბაცებ მთვრალივით  
კვანტს გამომდებ და დამცემო.

ბავშვობაში რომ მიყვარდი, —  
დავრბოდი ციგით ქარშიო,  
მაცდურად შემიყოლიე  
ერთი სულელი ბაგშვიო.

აღარ მიყვარხარ ზამთარო,  
აღარ მომწონხარ არაო,  
არ მიყვარს მოკლე დღეები  
არც შენი თეთრი ფარდაო.

2000 წელი.

## ჩვენი ცხოვრება

როგორ გრუხუნებს  
ამ ზამთრის დამქს,  
ელვამ უკუნის  
ფარდა გაფხრიწა,  
აი, ასეთ დროს,  
ჩვენში ამბობენ, –  
ზამთარი ახლა  
უკვე გაბერწდა.  
არეულია  
დრო და ქვეყანა,  
მიწაც, სამყაროც  
დაბერებულა,  
ჩვენი ყოფა და  
ჩვენი ცხოვრება,  
იმ ზამთრისამებრ –  
გაბერწებულა!

2007 წელი

### დავითის ანდერძი

არ გამიშვია ხმლისათვის ხელი,  
მებარა ერის ბედი სანამდეც  
და დაგიტოვეთ ქვეყანა ვრცელი,—  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

მამულის სუნთქვას დაუგდეთ ყური,  
თქვენი სულდგმად და საფიცარი,  
დაგმეთ მუდმივი შუღლი და შური,  
ოდიოთგან ჩვენი დამაქცევარი.

დროა, ერთმანეთს კვლავ მხარს უბამდეთ  
და ივერთ მიწებს სხვებს არ ატანდეთ,—  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,  
და ოვსეთიდან არეგაწამდე!

1980 წელი, თბილისი

მეგობრის ხსოვნას!

„სათაფლიაზე მწარე ბლებია”  
(სულხან აბდალაძე)

შენგან სახსოვრად ნაჩუქარი  
ლექსები დამრჩა,  
თვალს ვავლებ სტროფებს, ვერ ვიშორებ,  
ნადველს და ფიქრებს,  
რომ შეგძლებოდა ზღვა წუხილის  
უბრალოდ განსჯა,  
არ ჩამქვრალიყო სიყვარულის  
დღეები იქნებ.  
შენს მაგიდაზე და წიგნებზე  
მტვერი დევს ახლა,  
ცრემლი თვალებს მწვავს, მაგონდება  
განვლილი წლები,  
სათაფლიაზე გაზაფხულზე  
რომ აღარ ახვალ,  
ატირდებინ უშენობით  
ის „მწარე ბლები”!

1990 წელი  
თბილისი

### ვუძღვნი მ.....ს

სევდა ხარ ჩემში, ვით სული ჩემი,  
სევდად დარჩები, ტკივილად, ვიცი...  
როგორ მიყვარხარ, ო, დმერთო ჩემო,  
როგორ მიყვარხარ, ო, ვინ რა იცის!?

ეს მოსაწყენი და ყრუ ქვეყანა  
შავად ნაგები თეთრი ფონია,  
შენ ხარ მიზეზი, შენი ბრალია,  
ეს უკუნეთი დღე თუ მგონია!

ჩემი სიცოცხლის შემოდგომის პირს  
ეს სიყვარული ჩემი ფარია,  
მე მეკუთნოდეს ნეტავი მაინც  
შენი ფიქრი და სულის არია.

ვიცი ეს ჟამი, ულმობელი დრო,  
შენს თავს წამართმევს, გზა კი ორია,—  
შენკენ დახშული სავალი ჩემი  
რა ახლოს არის და რა შორია.

მაინც მადლს ვწირავ მაღალ დმერთს ჩუმად,  
შენ რომ არსებობ და შენ რომ მყავხარ,  
ვინც ამ უნაზეს წამებს რომ მჩუქნის,  
ვიზეც ვჩურჩულებ, — როგორ მიყვარხარ!!!

სევდა ხარ ჩემში, ვით სული ჩემი,  
სევდად დარჩები, ტკივილად, ვიცი...  
როგორ მიყვარხარ, ო, დმერთო ჩემო,  
როგორ მიყვარხარ, ო, ვინ რა იცის!

2001 წელი

დიდებას!

დიდო დიდება, გიგონებ ტკბილად...  
გდევდა სიკეთე ფარად და ხმლადა,  
ვატარებ შენზე სევდას და ტკივილს,  
შენი ღიმილი დამყვება მარად.

გაქრა ხსოვნიდან წლები - ნასეტყვი,  
დადგა დღეები ყრუ, უსაშველო,  
მინათებს უგუნს შენი სიტყვები: –  
„სიყვარულისთვის იცხოვრე შვილო!“

გახსოვს? მხვდებოდი ღიმილით კართან,  
თავს მომაყრდნობდი მხარზე ყვედრებით...  
გააჩაღებდი ძველ ბუხარს კვარით  
თან ჩემს მომავალს ღმერთს ავედრებდი.

ნუ დაივიწყებ, მეტყოდი, შენ ჯიშს,  
ნუ დაივიწყებ სიკეთეს, ამაგს, -  
"შენ დაიფარე მაღალო ღმერთო,  
შენ მოუმართე ხელი ჩემს ნაგრამს!"

...ტკბილად გისმენდი და სიყვარულით  
ვუმზერდი შენს სუსტ, და დამჭერარ ხელებს,  
როგორ აწყობდი ტაბლაზე ჩემთვის  
ხილს, ტკბილეულს და ნუგბარ ჩურჩხელებს.

დამშვიდობების დროც მოვიდოდა...  
უპერ გზა-შარას უშენოდ მივდევ!  
კვლავ მესმის: როდის ჩამოხვალ ბიჭო,  
თუ მედირსება გიხილო კიდევ?!

დიდო დიდედა, გიგონებ ტკბილად,  
მდევდა სიკეთე ფარად და ხმლადა,  
გატარებ შეწიე სევდას და ტკიგილს,  
შენი ლიმილი დამყვება მარად.

1987 წელი. ობილისი

არაფრისთვის

არაფრისთვის  
დავიბადე,  
არაფრისთვის  
წავალ ცადო,  
არაფრისთვის  
გზიგარ, გვიქრობ,  
არაფრისთვის  
უნდა ვცადო.

2000წელი  
ქვიშხეთი

## ასეთ ცხოვრებას!

აბა, რა ვუთხრა ასეთ ცხოვრებას,  
ნატვრა, ოცნება რომ არ ახდება?  
სახლში რომ მიხვალ ფიქრით დადლილი,  
სახლის კედლები მარტო დაგხვდება.

სუფრასთან ეშმა ჩამოგიჯდება,  
შენს ბედს დასცინის, ახითხითდება  
და მარტობის დამთრგუნველ წუთებს  
კაცი ლექსით და დარდით შეხვდება.

მერე საწოლზე წამოწვები და,  
წასულ შვილებზე ჯავრს ეპარები,  
ძილბურანში მყოფს ყურში ჩამესმის,  
ეპლესიაში რეკენ ზარები!...

წამოვდგები და პირჯვარს გადვიწერ,  
ხატის წინ ლოცვით გული მშვიდდება,  
ჩამქრალ კერაზე დადარს გავქექავ, –  
გარეთ ცივა და უკვე ბინდდება.

2005 წელი. ქვიშეთი

## ნეტავ ვიცოდე!

წუთისოფლის გზას მივყვები,  
გზებზე ბრძასავით დავდივარ,  
რამდენ სიგიუჟს, სიბრიუკეს,  
რამდენ შეცდომას ჩავდივარ.  
ნეტავ ვიცოდე, უფალი  
აღსარებას თუ მენდობა,  
ცოდვილს ნეტავ თუ მომელის  
პატიება და შენდობა?!

2001 წელი, ქვიშხეთი

### გუძღვნი მ.....ს

როგორ არ მინდა  
გაკრთობდეს ოდეს,  
პირქუშ სამყაროს  
საზარი ხმები,  
ვიხილო შენი  
თვალები ცრემლით  
და წლების ჯილდო,—  
ჭადარა თმები.  
როგორ არ მინდა  
ოდეს ჩემს სმენას,  
შენი გულიდან  
კვნესა ჩაესმას,  
როგორ არ მინდა  
შენი სიბერე  
და გაჭირვება  
ვნახო ოდესმე...

2002 წელი

## დედის გალი

მძიმეა, მეტად უსაშველო და მაინც ტკბილი,  
ტვირთი, რომელიც შენ გარგუნა განგებამ დედა,  
შენით დალოცვილ გზებით მივდევ ცხოვრების  
ბილიკს  
შენით დანახულ განათებულ სამყაროს ვხედავ.

დიდია, დიდი ძალზე დედა, ეს საქმე ძნელი,  
შენ გაბარია შვილებისა და ქვეყნის ბედი,  
ო, რა ტკბილია შენი თბილი ნაჯაფი ხელი,  
ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ლამაზო დედი.

შენ გევალება გზა გვიჩვენო, აფრქვიო შუქი,  
შეგგმატო ძალა და ამ ძალით აგვავსო ყველა,  
შენ შეაყვარო ერთურთს მტრები და მოსპო შური  
და დაამყარო სამუდამოდ მშვიდობა ყველგან.

შენ შეგიძლია რომ იტვირთო მხოლოდ შენ  
ძალგიძს,  
ძალა შთაგვბერო ყველა ჩვენგანს გაგვიძლვე  
ღმერთთან,  
შენგან შევიგრძნობთ სიკეთის მადლს და უფლის  
ძალას,  
მარადიული ცხოვრებისკენ მივყავართ ერთად.

ეს ის საქმეა სანაქებო და ეს ის ვალი,  
შემოქმედს რომ სურს, სულის ჭაში რომ  
ილანდება,  
შენ გაქვს, შენ, მხოლოდ, საამისო ღონე და ძალა,  
გთხოვ, აასრულო ღვთის ბრძანება, სურვილი, ნება.

შენ შეგიძლია ჩემო დედა, რომ ჩვენი სახლი,  
ბედნიერების, სიყვარულის მწვერვალზე დადგა  
და გაანათო ღვთიურ შუქით სიმძლვრით ახლით,  
კიდით-კიდემდე, რომ იფრქვიოს ანათოს  
მძლავრად.

1995 წელი, ქვიშეთი

დემოკრატია მოდის

ნარინჯისფერი ვარდის,  
რევოლუცია „მოდის”,  
თავისუფლება სიტყვის  
დემოკრატია მოდის.

ბრძანება ისმის—სწორდით!  
ჩამოთრეული ბოზის,  
თავისუფლება მოდის  
ცისფერების და ბოზის.

თავისუფლება გიუებს  
ყველანაირი ლექსის,  
თავისუფლება ხვევნის,  
ალერსისა და სექსის.

უნდა დავიცვათ დირსება  
აფხაზების და ოსის,  
უნდა დავიცვათ დირსება  
ყველა მომხვდურის, ოხრის.

ქართველებს დვინო, დუდუქი  
და თითოს თითო ყანწი,  
მრავალეამიერ, ჰარალო  
და ერთი კაი კვანწი!

2005 წელი  
ქვიშხეთი

## მგზავრი

გამჩენო ღმერთო,  
მგზავრი გამზარდე,  
კიდევ ერთსა გთხოვ  
გამომაზამთრე,  
ყვავილებს გაშლილს  
დავკრეფ მთაბარზე  
გულზე მივიბნევ  
ისე მამგზავრე.

1997 წელი  
ქვიშეეთი

## ფიქრი ტყეში

ტყეში მარტო ვარ,  
გწევარ გულადმა  
და იდუმალი ხმა მოაბიჯებს,  
ხშირი ფოთლების  
ლიკლიც-ლიკლიცში  
ვხედავ ლურჯ ცას და  
ღრუბლის ნაგლეჯებს.  
გწევარ და ვფიქრობ:  
ვინა ვარ, რა ვარ?  
გამოცანაა წუთისოფელი,  
სამყაროში ვარ  
წერტილი მცირე  
და ეს ტყე, მიწა,  
განუყოფელი.

1989 წელი  
თბილისი

გოგოვ, გოგოვ პაწაწინავ!

გოგოვ, გოგოვ პაწაწინავ,  
გაპრანჭული რომ დადიხარ,  
ასე თვალებს ნუ აელვებ  
ვიცი, ვიცი ლამაზი ხარ.

თავი გინდა მომაწონო  
ჩემს სახლის წინ რომ დადიხარ?  
ჩუმად მორცხვად რომ მიღიმი,  
შე კუდრაჭა, რა კარგი ხარ!

გაიზრდები, დაქალდები,  
ყვავილივით ნაქარგი ხარ,  
ცოლად მაინც მე წაგიყვან  
თუმც ძალიან ამაყი ხარ!

1980 წელი  
თბილისი

## საკუთარ თავს

ბედი ძალლივით გააგდე...  
იყავი მუდამ ცეტი,  
სადმე გინახავო? მითხარით, —  
გიჟი, ამაზე მეტი!

1999 წელი  
ქვიშხეთი

## საჩუქარი

გაზაფხულს გიძღვნი  
საჩუქრად,  
დე, ჩემი იყოს  
ზამთარი,  
შენთვის მოვქსოვა  
საკაბედ,  
ჩემი ლამაზი  
ზღაპარი.

1995 წელი  
ქვიშხეთი.

ჩემო უფალო

ზოგჯერ აშკარად, შეგნებულად  
ზოგჯერ უბრალოდ,  
თუ რამ უმსგავსი მიკადრია  
ჩემო უფალო,  
გთხოვ რომ შემინდო, მაპატიო  
რასაც ჩავდივარ,  
ერთი უბირი, უსინათლო,  
ერთი მგზავრი ვარ!

1997 წელი

## რამდენ ერთს

რამდენ ერთს უნდა გაუძლო,  
ხანახან ვიტყვი: კმარა!  
ნეტავ, არ დავიჩოქებდე,  
ღმერთო, მომეცი ძალა!

1999 წელი

## მოულოდნელად გვამცნეს

მოულოდნელად გვამცნეს -  
გზავნიან დავთრებს, არზებს,  
უქმდება თქვენი საყდარი,-  
გუშინ ზემოდან ბრძანეს.  
ელდა და ზაფრა გვეცა,  
სულყველას გული მისდის,  
არსად სხვა სულის საზრდო -  
არ ცნობენ სინდის-ნამუსს.  
ღმერთს ვეხვეწებით, უფალს,  
ყველა სალოცავ მუზებს,  
გადაგვარჩინოს ავ ჟამს,  
ვგავართ გასაფრენ ბუზებს.

2007 წელი  
ქვიშეთი

### ღმერთი გადმომხედავს

ფურცლის ნაგლეჯზე ლექსსა ვწერ,  
დღეს ისიც ადარ დამრჩა,  
სახლში სიცივე, სიბნელე  
სიკეთე არსით არ ჩანს.  
მკრთალია ფანქრით ნაწერი,  
ავადმყოფობის ფერს გავს,  
დღეს პურის ფულიც ადარ მაქვს,  
ხვალ, ღმერთი გადმომხედავს.

1994 წელი  
ქვიშეთი

## შეგარდნაძის ხელისუფლებას

ხელისუფლების  
ამ ბინბურ თამაშს  
არ ააქვს ბოლო  
და დასასრული,  
ძარცვავენ მამულს  
მონები ფულის  
და ზეობს ირგვლივ  
გახრწილი სული.  
ბორგავს შიმშილით  
ქვეყანა ჩემი,  
ღვივდება ცეცხლი  
დგას სუნი დენთის,  
გლეჯენ ჩვენს სულებს  
დაცემულ მამულს,—  
ნება მთავრობის  
და პრეზიდენტის.

2002 წელი  
ქვიშხეთი

## ბოლო სიტყვა

ვიცხოვრე და არც ვიცხოვრე,  
იყო მრავალი საცდური  
უფალს ერთსა ვთხოვ, ერთი მსურს,  
ბოლო სიტყვა ვთქვა კაცური!

2007 წელი  
ქვიშები

## გეზობელი

მეზობელთან გადავედი,  
იყო დილა საქმის ხანა,  
არ ეცალა ვიდაცასთან  
შეღვრომოდა ენის ფხანას.  
ვეხვეწები, მეჩქარება,  
არ მომიკვდე, დათმო განა?  
გამიწვრილდა გული, მსურდა,—  
გამომესვა ყელში დანა!

2001 წელი

## ჭეშმარიტება

ჭეშმარიტების ძებნაში  
ბევრი წავიდა გზამართალს,  
ვერც მოსამართლე მსაჯულნი  
ვერ დაამკვიდრებს სამართალს.  
ვინ იბრძვის სიმართლისათვის,  
ვინ არის ამის განმრცობი,  
როცა თვითონვე კაცია  
ჭეშმარიტების საცობი?!

## ყბედობენ ხელისუფალნი

ზოგისთვის ავი დრო არის  
ზოგისთვის ატლას ფარჩების,  
ზოგისთვის დრო და უამია  
მამულზე ფიქრის, დარდების.  
არეულია ქვეყანა  
დამათხოვრობენ ბალდები,  
ხელისუფალნი ყბედობენ  
უკვე მოსულან ახლები.

2000 წელი  
ქვიშხეთი

## გლობალიზაცია

მოდის გლობალიზაცია,  
მავანთ მიზანი, არსია,  
ვისთვის დაღუპვა, გაქრობა,  
ვისთვის ეს მხოლოდ ფარსია.  
ცდილობენ, რომ შეაერთონ  
ევრო-აფრიკა, აზია,  
ერები არივ-დარიონ -  
მათი მიზანი მრწამსია.  
მოშალონ საზღვარ-მამული  
ყველა საერთოდ აქციონ,  
საკვების მომნელებლებად  
და რობოტებად გვაქციონ!

2004 წელი  
ქვიშხეთი

### წუთისოფელი

დღეს პომიდორის  
თეხლი დავთუსქ,  
უკვე ახლოა  
ჩითილების დრო,  
აღარც ფულია,—  
გაჭირვებაა,  
შენ რას გარგუნებს  
უსაქმურთა ბრძო?!  
რა ვქნა, რომელ ქვას  
ვახალო თავი,  
ბარი და თოხი  
მიჭირავს ხელში,  
რომ გავიტანო  
როგორმე თავი  
ამ ოხერ-ტიალ  
წუთისოფელში!

1995 წელი  
ქვიშხეთი

### ეპიტაფია

გაცრუებული ოცნება,  
გაწყვალებული წლები,  
სევდით მოსილი წარსული  
და უიმედო ხმები.  
ცხოვრება, როგორც სიზმარი,  
დანატოვარი ვალი,  
ოფლი, დაღვრილი უაზროდ,  
წაშლილი გზა და კვალი.

1990 წელი

გერვინ წამართმევს!

ძ.....ს

მე – სიყვარულით,  
შენ – რისხვით მიმზერ,  
რისთვის მიწყრები  
რა ავი ხარო?!  
ასე უგულო,  
ასე უგრძნობი,  
თვითონ არ ვიცი  
რად მიყვარხარო.  
შენ – მეჩეუბები,  
მე, – გეფერები,  
ამ ცის კიდეზე  
ერთი მყავხარო,  
ვერვინ წამართმევს  
მე შენს სიყვარულს,  
თუნდ წამეკიდოს  
მთელი სამყარო!

2003 წელი  
ქვიშხეთი

## ღიმილის სევდა

ნინო გელაშვილის მშობლებს  
ქალბატონ ზაირასა და ბატონ იუზას

ნუგეშს უფალი იძლევა მხოლოდ,  
გიმზერთ და თითქოს სულში ღამდება,  
ცხოვრება საზარ სიზმარს ჩამოჰვავს,  
ვიდრე სარ ქვეყნად, რომ არ თავდება.

ღიმილშიც სევდა მოსავთ თქვენს თვალებს,  
გულებიც თქვენი, ვგრძნობ როგორ ბორგავს,  
სახლის წინკარში თუთის შრიალი,  
ნინოს ლექსებს და ფიქრებს ჩამოჰვავს.

ალბათ სუსტ მხრებმა ვეღარ გაუძლო  
ამდენ ჭირ-ვარამს და ამდენ ტკივილს  
და მშობლის ალერსს მონატრებული,  
სადღაც მიჰყვება სამყაროს ბილიკს.

დარჩა სურვილი, ნატვრა რამდენი,  
გრძნობით და ცრემლით სავსე ბარათი,  
ლექსში აუნთეთ სულის სავანე  
და უკვდავების ძეგლი მარადი!

20/I 2007 წელი

## ნინო გელაშვილის ხსოვნას

თუმც კარგად ვიცით წუთისოფელში  
ყოფნა-არყოფნა არაფერია,  
მაგრამ რა ვუყოთ გული რომ ნაღვლობს,  
ამ ლამაზ გოგოს, ზღაპრის ფერიას!...

დიმილით მოხველ სუსხიან წლებში,  
იმ ჯოჯოხეთის ქარსა და მტვერში  
და მუზეუმის ციკი კედლები  
ნაზად მოქარგე ყვავილთა ფერში.

როგორ დაგვწყვიტე გული შენ, წასგლით,  
მუზა წაგვართვი ლექსების ლამბვის,  
ამ ჭერქვეშ ახლაც კრთის ათინათი  
შენი ხატების და შენი ლანდის.

ამ გაუსაძლის ტიალ სოფელში  
როგორ გვაკლიხარ, როგორ გვჭირდები,  
ზღაპრის ქვეყნიდან ფერიად მოსულს  
არ დაგივიწყებთ ვიდრე ვიქნებით.

2004 წელი

## ცხოვრება

მოუსვენარო ცხოვრებავ,  
მთა-ბარს მატარებ, მინდორს,  
მხიბლავ მაცდური ქალივით  
მერე კი აღარ მინდობ.

1999 წელი  
ქვიშხეთი

## მსურს

მსურს რომ ვაკეთო საქმე ისე  
გულმოდგინებით,  
ისე ერთგულად, მონდომებით  
და რუდუნებით,  
როგორც დრო-ჟამი, ეს საწურთო  
ჩვენი ცხოვრების, –  
აუჩქარებლად ნელა-ნელა  
თხრის ჩვენს საფლავებს.

2001 წელი  
ქვიშხეთი

## საიო წავიდე

საიო წავიდე,  
მირჩიე ღმერთო,  
არსად სიმშვიდე,  
ომია, ვქრები.  
ჩემი წვალება  
ვის უნდა ასე,  
ვერ ამისსნია,  
ვერაფერს ვხვდები.

1991 წელი

\* \* \*

### ხელისუფლების არამზადებს

როგორ ტანჯავენ  
ხალხს და ქვეყანას  
ეს უბადრუკი  
მომაკვდავები,  
გაუმაძღრობის  
სენს შეუპყრიათ,  
ლეშს დახვევიან  
როგორც ყვავები.

2002 წელი  
ქვიშხეთი

## სასაფლაოზე

ზოგი მზის ქვეშ და ზოგი ჩრდილში წევს,  
ქვიშის გორები, ზოგგან ქვა ყრია,  
ზოგს ყვავილები, ზოგს ლოდი გულზე,  
აქ აღარავის არ აყვედრიან.

მიწა საყოფად ერთი გოჯია,  
ვალი აღარ აქვთ, აღარც ნისია,  
არც არჩევანი, არც არადანი,  
აღარც მიზანი, აღარც მისია.

აგერ მშობლები, ერთად მარხიან,  
აქვე ბიძაა, ეს – უცნობია,  
აქ, ცისფერთვალა, ლამაზი ქალი  
სიყვარულზე რომ უოცნებია.

აქ, - ჩემი ძველი მეგობარია,  
აქ, - მომდერალთა გუნდის ბანია,  
ესეც მხატვარი, სულ რომ გალოთდა...  
ეს კი ნაცნობი ხელოვანია.

აქ არის ყველა, მამულისათვის  
ვინაც იღწვოდა და უფიქრია,  
ჩვენი დიდება, ჩვენი წარსული,  
ჩვენი ნიჭი და გონი რომ ჰქვია.

1989 წელი.

მეგობრის ხსოვნას  
მურად ლონდაძეს

რად დაიკიტე ქმობა,  
წმინდა, ხალასი, ჩვენი?  
ქმაო, დალატი გცოდნია  
მეგობარს ეს არ შვენის!  
ალარც ლიმილით მხვდები  
და არც ტკივილით, სევდით,  
ორნი შემოვრჩით ქმობას  
დავრჩი ნაკლები ერთით.  
გვისაუბრია ხშირად  
სიკვდილზე, სიცოცხლეზე,  
ცოტახანს კიდევ ერთად  
გვევლო ამ ტიალ გზებზე.  
ვინ შენ და ასე ყოფნა,  
უქმად ეგ ოქროს ხელი?!  
ბიჭო, აიღე ფანდური  
თქვი რამე, გულის მწველი!

2007 წელი

არ დამთავრდება

არ დამთავრდება  
ო, ეს წამება,  
ვიდრე მაქვს გრძნობა  
და პირში სული,  
ვიდრე მაწუხებს  
მამულზე ფიქრი  
და ვიდრე ფეთქავს  
ამ მკერდში გული!

2006 წელი

### სიცარიელე

ცხოვრების გზაზე კაცი  
მუდამ რაღაცას კარგავს,  
ნაცნობს, მეგობარს, ბიძას,  
სიკვდილი რიგებს მარგლავს.  
მიდის და მოდის წლები,  
მივდევთ ცხოვრების ავარგს  
და ჩვენი წასვლის მერე  
ჩვენც დავაკლდებით სახლ-კარს.

1990 წელი

## ცხოვრება

ცხოვრებავ აგფიქრიანო,  
წლები რა სწრაფად დიანო?  
შენს გზებზე მოხეტიალეს  
მუდამ ცრემლები მდიანო.  
სანდახან გამოიდარებ  
რა ლამაზი ხარ მზიანო?  
ნეტავ შენს ბაღში ოდითგან  
მოსავალს, როგორ მკიანო?!

### ჩემს პატარა თამარს

ჩემო პატარა, სულის ნათელო,  
ქვეყანას შენით თუ შევხარივარ,  
შენ რომ გიყურებ დარდი მიქრება  
სულ შენ გნატრობ და შენს ლოდინში ვარ.  
როგორც შუქურა უკუნ დამეში,  
შენი ციმციმით გზას რომ მინათებ,  
ამ გზას მოვყვები, რომ არ დავეცხ,  
ჩემო სულის და თვალის სინათლევ.  
ამ ყრუ, ნაღვლიან დღეთა მორეგში  
სიცოცხლის წუთებს შენ მიხანგრძლივებ,  
ამაოების მწუხრის ველიდან  
შენკენ მოვარდვევ ჯანდსა და ნისლებს.

1996 წელი. ქვიშხეთი

## ბრმა მეთარე

მგზავრთა სალონში მდერის  
მოხუცი დავრდომილი,  
მდერის ... საბრალო ლუკმას  
იხვეჭს თმებდათოვლილი.  
ზის უსინათლო კაცი,  
ხელჯოხით, თარით ხელში,  
პატარა ბიჭი ქუდით  
შესაწირს ითხოვს ხალხში.  
წირავენ ხურდას, კაპიქს,  
ხალხი ჰანგებით მოვრალი,  
მდერის, ნათელს ფენს ირგვლივ  
თვით ბრმა და სხივჩამქვრალი ...

1995 წელი

სხვაობა

ვუხმენ, უფსკრული გვაშორებს,  
მამოწმებს თვალის მახვილი,  
სულ სხვა თარგზეა მოჭრილი  
ეს ძველისძველი თაღლითი.

1998 წელი

## შევარდნაძის ხელისუფლებას

ჰე, ქართველებო,  
არც ქართველებო,  
რა დღე აწიეთ  
წაქცეულ მამულს?!  
მეტი პატივი  
ეკუთვნის ოქვენზე,  
ერთგულ პირუტყვებს,  
თავლაზე დაბმულს.  
რა დღე აწიეთ  
წაქცეულ მამულს,  
გაზიდეთ ოქრო,  
მთა გრანულების,  
გავხდით საკილო  
და ბედისწერა,  
ედუარდების და ნანულების.  
ოქვენი სტომაქის  
გაუმაძღვრობა,  
მიზეზი გახდა  
ქვეყნის აკლების,  
სპობენ სამშობლოს,  
იმედს, მომავალს,  
ეს უგუნური  
მიწის მატლები!

2000 წელი

## ორფეს ვირებს

გათავსედდნენ და გალადდნენ  
ჩვენში ორფეხი ვირები,  
იყროყინეს და ივირეს,  
გახდნენ ცნობილი პირები,  
გახდნენ მთავრობის წევრები,  
მოიწყვეს კაბინეტები,  
დარბიან დაკუნტრუმობენ,  
გენერლის ფორმით, კანტებით.  
თუმც არჩევნებით მოვიდნენ  
ეს დამთხვეული გიუები,  
აიკლეს მთელი ქვეყანა,  
მოშალეს ბაზარ-ბირჟები.  
ზიდეს, რაც შეძლეს წაიდეს,  
ქუდი ყავარზე გაიდეს,  
ყველა გაყიდეს, გაწირეს  
და არც სამშობლო დაინდეს.

2002 წელი

## წესი

წესად გვაქვს - მიწას მივაბარებოთ,  
გაშლიან სუფრას,  
შესანდობარი რომ შეისვას  
ერთ ჭიქა ღვინით,  
ერთს-ათს აყოლებს, გამოთვრება,  
მოსთქვამს, აბოდებს,  
წაბანცალდება, ნელი-ნელა  
მიდის ღიღინით.

1995 წელი

სული

იღიბების სული, იღიბების სული,  
სულ მუდამ, გარეთ, კარში,  
ჩემგან რომ იხსნას თავი,  
მაღლა გაფრინდეს ცაში.

1997 წელი

### პიმნი ბავშვებზე

ჩემო ბავშვებო, ჩემო მერცხლებო,  
ამ ლექსს ოქვენ გიძღვნით და გეფერებით,  
ნეტავ იცოდეთ, გულს როგორ ატკობს,  
ოქვენი ჭიკჭიკი და სიმღერები.

ოქვენ ხართ იმედი და მომავალი,  
ოქვენია ეს ცა, ეს მთა, ველები,  
ოქვე ხართ სახატო და სალოცავი  
და საქართველოს სადიდებელი.

მოდი, ვუმდეროთ ერთად სამშობლოს  
ნახეთ რა მზეა და რა ფერები,  
მაღლიან მიწას სჭირდება გული  
ოქვენი ნიჭი და გამრჯე ხელები.

ჩემო ბავშვებო, ჩემო მერცხლებო,  
ქვეყნის იმედად ღიმილით გევლოთ,  
სამშობლო მიწის მზის ყვავილებო,  
სიცოცხლე ჩემი, ოქვენ შემოგევლოთ!

2004 წელი

## უშედებო ცდა

აწყო, აწყო,  
ვერ დააწყო,  
ისევ სცადა,  
ისევ აწყო,  
იჯახირა,  
ითავცემა,  
ისევ მაინც  
ვერ ააწყო.  
აერია,  
დაერია,  
გადააწყო,  
გადმოაწყო,  
არაფერი  
გამოვიდა  
არ იქნა და  
არ დაეწყო.  
ბოლოს ხელი  
ჩაიქნია,  
საიჭიოდ  
გამოეწყო.

2001 წელი.

კვლავ მოგილოცავ  
გუძღვნი ქალბატონ მაყვალა ხაჩიძეს

საიუბილეოდ

გადიჯირითეს მრისხანე წლებმა  
ცხოვრება ისევ მკაცრია, რთული,  
შენ კი, ასეთი მახსოვხარ მუდამ  
მგრძნობიარე და უცვლელი გულით.  
დრო ჯერ წინა გაქვს - თავზე საყრელი  
და კვლავ გაუძლებ ამ ღრმა დინებებს,  
მრავალ წლის შემდეგ ისევ შევხვდებით,  
კვლავ მოგილოცავ, თუკი ინებებ...  
წლების მუქარა ნუ შეგაშინებს,  
დარიც იქნება და ნიაღვრებიც,  
გხედავ მომხიბვლელს და მიხარია,  
რომ ძველებურად ღიმილით მხვდები.

2008 წელი  
25 იანვარი.

## გულმა მითხრა

გულმა მითხრა რომ ნუ ითვალთმაქცებ,  
მხოლოდ მე მენდე, მე დამაცადე,  
ჩემს ხმას მიენდე, როცა განიშნებ  
მაშინ ამომთქვი, მაშინ დამცალე.  
თუნდ მოკვდე, ყალბ გზას ნუ ამოირჩევ,  
შენს სტვირს, შენს საყვირს მაშინ ჩაბერე,  
როცა მე გეტყვი, როცა განიშნებ  
და შენთან ერთად მეც ამამდერე.

2000 წელი

კაცის ღირსება

ჯონი ქიტიაშვილს

კაცობით, ცხოვრების წესით,  
საქმითაც წინ ხარ ბევრთანა,  
მართალი, როგორც სინდისთან  
ასევე მაღლა ღმერთთანა.

დღეს სარეველად უდირსნი  
გარს მოსდებიან მჭლე ხანას,  
მსგავსი კაცები ამ ცის ქვეშ,  
ალამაზებენ ქვეყანას.

2007 წელი

### ვიბრძვით

ვებრძვით სპარსეთს, ვებრძვით თურქეთს,  
ვებრძვით რუსეთს, ამერიკას,  
ვებრძვით ყველა სისხლის მწოველს,  
ჩვენს სხეულზე ეკალ-ბირკას.

ვებრძვით ყველა ხელისუფალთ,  
ვირჩევთ, მოდის ახალ სენად,  
ვიბრძვით მუდამ ღირსებისთვის,  
ვიბრძვით თავის დასახსნელად.

2001 წელი

## ჩემო ჯონკა და ჩემო გიშერო

ვუძღვნი აჩიქო ლაცაბიძეს.  
გაჭირვების წლებში ყველამ სხვადასხვა გზა მონახა  
თავის გადასარჩენად.

ჩემო ხარებო, მოდით უღელში,  
სარჩოდ დავთესოთ შვრია და ქერი.  
მადლობა უფალს ლუკმა პურისოვის,  
რომ გაგვითენა დილა მზისფერი.  
ჩემო ჯონკა და ჩემო გიშერო,  
არ გვიცხოვრია ეს დრო დირსებით,  
რა დამავიწყებს იმ საშინელ დროს  
თქვენი ქედებით როგორ მიხსენით.  
მიხსენით თქვენი ერთგული შრომით,  
ტვირთს ძლივს ათრევდით და გაჭირვებით,  
მე კი ხანდახან გაჯავრებისას  
ბეჭებზე სახრეს გადაგიჭერდით.  
რით გაუძელით საშინელ ჭაპანს,  
ცემას, არც ლანძღვას მიმახსოვრებდით,  
რაღანაც თქვენთვის უცხოა ბოლმა  
არ გიცხოვრიათ კაცთა ცხოვრებით.  
გადარჩენისოვის იბრძოდა ყველა,  
მსხვერპლად აქცია დრომ არა ერთი,  
ბეგრძა სამშობლო დატოვა ტკბილი,  
მე კი თქვენ მყავდით იმედად გვერდით.  
ჩემო ჯონკა და ჩემო გიშერო,  
არ გვიცხოვრია ეს დრო დირსებით,  
რა დამავიწყებს თქვენი წვალებით,  
თქვენი ქედებით, როგორ მიხსენით!

2007 წელი.

რამდენ არაკაცს იტანს ეს მიწა

რამდენ მშრომელს და პატიოსანს,  
რამდენ ამაგდარს,  
რამდენ წესიერ მამულიშვილს,  
რამდენ ამდაგვარს,  
გხვდები ყოველდღე ჩემს მიწაზე  
და ჩემს მამულში,  
მათ დანახვაზე ხარობს გული,  
მზე ჩადის სულში!  
მაგრამ რამდენი არამზადა,  
რამდენი ბნელი  
დადის, დაძრება ჩემს მიწაზე  
რამდენი გველი,  
აქ სახლობს ისიც, ვინც მამული  
მტერს, დუშმანს მისცა,  
ვინც საინგილო, სამაჩაბლო, –  
გაყიდა რიწა!  
ვინც ყიდა სული წინაპრების,  
საფლავის მიწა,  
რადენ მამაძაფლს და არაკაცს  
იტანს, ეს მიწა!

1996 წელი

### ხელისუფლებას

განუსაზღვრელი  
ძალაუფლებით,  
თაფლის ბუზები  
იქეცო ქუნქლებად,  
ჩვენი ცხოვრება  
ასგზით ნაფლეთი,  
ქარს გაატანეთ  
ნახევ ფურცლებად.

2003 წელი

## ღრუბელი

გადაფაქვია  
ღრუბელი ზეცას  
და როგორც მკვლელი  
სინათლეს ახმობს,  
ვინც კაცის სულში  
ხელს აფათურებს,  
მიზანს ისრულებს,—  
გულს ტყვიას აჭდობს!

1995 წელი

### ორი სიზმარი

ორია ჩვენი სიზმარი, –  
ღამისაა და დღის არის,  
ხან დღის, ხან ღამის მგზავრი ვარ,  
ერთ მთვარის, ერთი მზის არის.  
ორივ ლამაზი მაცდური,  
ორივ ბრდდვიალა ლამპარი,  
მათ ცქერასა და ნატვრაში  
მიფრინავს ჩვენი ზღაპარი.

1996 წელი

## ექსპრეზიდენტ შევარდნაძეზე

მინდა გიამბოთ  
ერთ დიდ ვერაგზე,  
ზღაპარი ერთი  
და სენსაცია,  
ჯილდოდ პენსია  
და თავი შერჩა  
თან სამთავრობო  
რეზიდენციაც!  
მტერს ჩააბარა  
ჩვენი სამშობლო,  
უყვარს სიბნელე,  
ბნელში ჩურჩული,  
ცოცხალ გვამს სული  
ცოდვით სავსე აქვს,  
დაუსჯელია  
დღეს ეს ურჩხული!

2002 წელი

**სიტყვის ტყვიები**

პირიდან სიტყვის ტყვიები  
მოფრინავს როგორც ქერტლი,  
ის თავის საქმეს აწყობს,  
ხალხი კი – მისი მსხვერპლი.

2001 წელი

### თავშესაქცევი

უმუშევრები, მშივრები,  
დომინოს თამაშს ვიწყებთ,  
ეს სუსხიანი ზამთარი  
იქნებ როგორმე გატყდეს,  
სულში გაჩრილი ტკიფილი,  
სულშიგე რომ არ ჩარჩეს.

1994 წელი

### სატყუარა

სიცოცხლე ჩვენი  
სატყუარაა,  
ცხოვრება ჩვენი -  
მუდამ გვაცდუნებს,  
შეცდომას ვხვდებით,  
სიკვდილის ცელი,  
როცა ყველაფერს  
აუფასურებს.

2000 წელი

\* \* \*

ბევრჯერ თავს ვკითხე-  
მაინც ვინა ვარ?!  
არ აქვს პასუხი  
სწავლულს, არც მისანს.  
ვგავარ უბადრუქს,  
დაგდებულს მტვერში,  
უმისამართოდ  
გასროლილ ისარს.

1997 წელი

## რიგი

აქ, ამ საწოლში, ორი წლის წინათ,  
გარდაიცვალა საბრალო დედა.  
ახლა კი აქ წევს მოხუცი მამა, -  
ჩვენი საწუთროს მორიგი მსხვერპლი...

მერე კი, ჩემი რიგიც დადგება,  
არ ყოფნის ქვეყნის საგზურით, ვიზით,  
განიბვნის მკრთალი ნათელი სანთლის –  
სუნი საკმევლის და ყვავილების...

ამაოების გზის დასასრული...  
დრო – შემოდგომის ფერისცვალების,  
აკორდი ბოლო, ამ პაროდიის, -  
ნება განგების თუ ჩვენი დმერთის.

2000 წელი

### არ დაილია

არ დაილია ჭირი,  
არა და ადარ მიდის,  
ვეღარ დავდექით ფეხზე  
თვალებში ვუმზერთ სიკვდილს.  
გაძაღლდა ყოველი დღე,  
ხალხი ყველაფერს ყიდის, -  
ოჯახს, სიყვარულს, სინდისს,  
ცხოვრება მიდის, მიდის...

2001 წელი

## მტრისაგან მიტაცებულ აფხაზეთს

სამშობლოს ცაო, ლაუგარდო,  
სხვას ატკბობს შენი მთებიო,  
„ჩემი კაცობის გვირგვინო,”  
შენით ხარობენ სხვებიო.  
შენს ლამაზ მკერდზე ჯირითობს  
გალადებული მტერიო,  
შენი ალერსი მწყურია,  
გიხილავ ან მოვკვდებიო!

1999 წელი

### წუხილი

ვიდას მოვუხმოთ საშველად?  
სიცოცხლე აღარ მინდა!  
დღეს თვით გამხდარა საშველი,  
სალოცავები, წმინდა!

2007 წელი

### მომრავლდა

ხალხისთვის აღარ სცალიათ,  
საგარენდება, დაობა,  
მომრავლდა - უმისამართო  
და დაკარგული თაობა.

2004 წელი

## გზა

გავყურებ წარსულს,  
ჩემი ყრმობის გზებს,  
გზებს აწ გამოვლილს  
და კვალს არეულს,  
ჩემი ცხოვრების  
აბურდულ გორგალს,  
ოდეს ჩემს ფიქრს და  
იმედს შორეულს.  
მეც ბევრ სხვასავით  
დამებნა გზები,  
ვერ მივაგენი  
ჩემს სულის სადარს,  
ამაოდ დავშვრი,  
შემომაღამდა,  
დაღლილი ახლა  
დაგხვდები ავდარს.

2001 წელი

ვეძებ

ვეძებ, ვპოულობ, ვკარგავ,  
ვიხდი – ყველაფერს ხარკად.  
სიცოცხლე ტვირთად, ბარგად,  
გზაზე სათრევად, დარდად.

2001 წელი

## კაცის სასჯელი

კაცის სასჯელი მძიმეა ღმერთზე, დაუნდობელი,  
ჩაქსოვილია ბოროტება, ნდობის ტალონი.

არ არის მასში სიმართლის არც სხვა ეტალონი,  
ჩაქსოვილია სულელური ქვეყნის კანონი.

ვერავინ შესცვლის ზეციურის ნებას და კანონს,  
რამდენიც უნდა - ახალი თქვან და გზები კვალონ,  
რამდენიც უნდა - სისხლიანი ხელები ბანონ,  
რამდენიც უნდა - სიტყვები და აზრები ცვალონ.

დამნაშავეა და დამრღვევი ღმერთის კანონის,  
კაცი, სულყველა სიმართლის და სწორის დამმხობი,  
ერთი ცოდვილი მეორეს სჯის, აკრავთ მანტია,  
შენ რომ მოგაშთოს, ის საბელიც, კაცის ფანდია!

2000 წელი

1999 წლის მოწვევის პარლამენტარებს

გადადებული  
და გაბადრული  
მოსჩანს ეკრანზე –  
ყეყებთა სახე,  
ცემა ერთ-ურთის  
გინება, ლანძღვა,  
აღვირასსნილი  
ჩხავილი მკვახე;  
ღმერთი წაგვართვეს,  
იმედიც მოკლეს,  
მოსპეს სინდისი,  
წმინდა ყოველი,  
წაგვართვეს ფუძე,  
რწმენა, სახატე,  
ქვეყნად უფლება -  
ჩვენი სიცოცხლის!

2001 წელი

### ვერ მოგშორდები

ვერ მოგშორდები  
ჩემთ სამშობლოვ,  
აბა, სხვის კარზე  
რა ვქნა, რა ვნახო?!  
ნეტავ, ოდესმე  
თუ მეღირსება  
გაბრწყინებული  
ცამდე რომ გნახო?!

2000 წელი

რამდენი რამე შემშლია...

ვიყავი და არც ვიყავი,  
ნაცნობ-უცნობიც, უცხოც,  
საჭირო? – არც თუ საჭირო,  
ერთი გამვლელი, უფხო.  
რამდენი რამე შემშლია,  
რამდენი რამე ღმერთო,  
რამდენი ცოდვა მიქნია,  
ერთ კაცს რამდენი მერგო!

2002 წელი

ქვიშხეთის ზეცა

გუძღვნი ქალბატონ ნარგიზ ტატიშვილს

მიქტრიან წლები, ცხოვრებაც მიქტრის,  
ყოფას უბადრუქს ფასი აქვს ჩალის,  
მიჰყვება ჟამი ნაღვლიან დღეებს,  
სილამაზე და სინაზე ქალის.

ლოდინით დაღლილს გატყვია სევდა,  
რამდენი ნატვრა დროს გაჲყვა ქარზე,  
რამდენი გული სინაზით სავსე  
სიკეთისათვის გაკრულა ჯვარზე...

სულის სალბუნად ხსოვნაა გულის,  
ჩვენი სიცოცხლის ის ციცქნა წვეთი,  
როს პოეზიის მადლი გვატკბობდა  
და სილამაზე ქვიშხეთის ზეცის!

2006 წლის 31 აგვისტო  
ქვიშხეთი

## გასაუბრება დედის აჩრდილთან

ხსოვნად ტკივილი დატოვე დედა,  
(ამწვანებული ორიოდ ბელტი,)  
ეჭ, ის დრო იყოს, ვხარობდით ერთად,  
სხვა არაფერი არ მინდა, მეტი!

დედა, შენს მერე ვწვალობ და მიჭირს,  
ჯოჯოხეთში ვარ გამთელეს ფეხით,  
ბევრი ჩემს ტკივილს და გაჭირვებას,  
ხვდება ხითხითით და მანჭვა-გრეხით.

დრო შეიცვალა, სამშობლოს სჯიან,  
კრძალვა და შიში აღარ აქვთ დმერთის,  
უიმედობამ - იმედს აჯობა,  
ლიმილს კი დარდმა, ცრემლებს რომ ერთვის.

აღარაფერი დატოვეს წმინდა,  
დახნეს ქვეყანა ტიალი, ბნელი,  
ჯოჯოხეთიდან გაქცევა მინდა  
და ახლა ბედის განაჩენს ველი!

2003 წელი

### **არ მიყვარს**

არ მიყვარს ქალი ჭარტალი  
და არც უდვინოდ კასრი,  
არც ლექსი მჰლე და უძარდვო  
და არც სულელის აზრი.

2004 წელი

## თანაგრძნობა

გუძღვნი მრავალჭირგადატანილ  
მშვენიერ პოეტ ქალს  
მარი აბრამიშვილს

შენს სამშობლოში  
ნაზი ქალი არ გაგახარეს,  
ყველა გაწირეს –  
ვინც არ ეყმო, ვინც ვერ მოხარეს,  
წლები მოგტაცეს  
გაფურჩქნული და სილამაზე,  
ყველაზე დიდი  
განძის კარი გადაგირაზე!  
ციხის საკანში  
სევდა დაგრჩა - წართმეულ წლების,  
შავ-ფხიან პურის  
გახსენება, ნატგრა ბალანდის,  
ცხოვრება შენი  
გაასხვისეს, მიანდეს ცრემლებს,  
იმედიც შენი  
წაუღიათ დესპოტთა მდევრებს!

2006 წელი

გუძღვნი მ. . .ს

ეს დრო, ეს წლები,  
ხომ შენ მაჩუქა,  
შენ დამიხსენი  
და შენ მაცოცხლე!  
შენ რომ მიყვარდი,  
ასე ძლიერად,  
ღირდა ამისთვის –  
ჩემი სიცოცხლე!

2004 წელი

არ ღირსებიათ

წავიდა ბევრი  
თაობა ისე, -  
წყალს ჩაეყრათ  
შრომა და გარჯა.  
არ ღირსებიათ  
ნათელი სხივი,  
თვალებში მხოლოდ  
სიკვდილი ჩარჩათ!

2005 წელი

## გავს და არა გავს

ქუჩის კუთხეში, გადასასვლელთან,  
ნაცნობი სახის გამოკრთა ელვა, -  
სახე, რომელზეც მიოცნებია!...  
გულს უცნაური დაუტყო დელვა...

გავს და არა გავს იმ ქალს ეს სახე,  
ღმერთო, რამდენი გასულა წელი!  
ჩემს საოცნებო კოშკებს როგორ შლის  
დროის სასტიკი მსახვრალი ხელი!

ეს რა მოსვლია შენს შავ დალალებს,  
ლეგა ლრუბლებს რომ გიგავდა გუშინ?!  
თვალები? ნუთუ ის თვალებია,  
ბიჭი რომ დაჭრა ოდესდაც გულში?!

1988 წელი

## დედას

რაც დრო გადის, რაც რომ ჟამი ქრება,  
მემატება ნაღველი და სევდა,  
როგორ მტკიგა უშენობით გული, –  
მენატრები, შენზე ვდარდობ, დედა!

გადამდალა დამეებმა, ფიქრმა,  
ნეტავ იყო ისევ ჩემთან, ნეტავ,  
როგორ მინდა გნახო, მოგეფერო,  
როგორ მინდა, როგორ მინდა, დედა!

მოლოდინში გადის ჩემი წლები,  
მესიზმრები, ძილში სულ შენ გხედავ,  
როგორ მინდა გადავლილ წლებს მივწვდე,  
ძველებურად იყოს ისევ, ნეტავ!

2001 წელი

როგორ არ ამკობს შენს მშვენებას!  
ვუძღვნი მ . . . ს

ამოვეფარე მწარე ფიქრებს დასჯილი კაცის,  
თითქოს მზე ჩაქრა და დაბნელდა სიცოცხლის დღენი,  
როგორ არ ამკობს შენს მშვენებას ო, ეს სიმკაცრე,  
სულის საჯელად და წამებად, რომ მომიძღვენი.

ნაცვლად სიყვარულს, დომილს გიძღვნი ვერ ვიმეტებ სხვას,  
მინდვრის ყვავილებს დაგიკრიფავ ათასფერადებს,  
ნუთუ ამისთვის მერე შენგან მოვიმკობ რისხვას,  
სულ ასე დამსჯი და არ მეტყვი ისევ არაფერს.

გახსოვს? ოთახში ნაღრძობ ფეხით ძლივს შემოხვედი,  
აცრემლებული ტკივილისგან ჩამოჯექ იქვე,  
შენს ფეხს შევხევ, ნაზს, ჩამოქნილს, დაჭრიმე ფრთხილად  
და გაგიარა სანატრელო ტკივილმა მყისვე.

შენი ხატება, შენზე ფიქრი რომ არ მასვენებს,  
გისი ბრალია გისი მითხარ, ო, ნეტავ მოგევდე,  
თუმც შებლშეცრული მხვდები მუდამ, მიყვარხარ ისევ,  
ვერ შევძლებ ჩემო, შეგიძულო შენსავით ოდეს!

2003 წელი

პური გათავდა?

1961 წელი ნოვესიბირსკი  
პურის კრიზისია. მაღაზიებში  
უზარმაზარი რიგებია.

პური გათავდა? გკითხე გამყიდველს,  
პო, რა ხანია - იდიმის ქალი,  
ქალი ტანსარო, წარბგადაწნული,  
ვეღარ მოვწევიტე ერთ წამსაც თვალი.

პური გათავდა? - მივმართე სხვა დროს,  
პო, ამბობს ეჭვით, მიღიმის ქალი,  
რა ვქნა, ვერ ვიცლი ადრე ვერ მოველ  
ჩემთვის ვთქვი ისე, ვიმართლე თავი.

პური მოგართვა? - მკითხა თვითონვე,  
მორიგ "რეისზე", როცა მივედი.  
პური არ მინდა შენ მომენატრე,  
და სანახავად შენთან მოვედი.

რაო? - იდიმის შოლტივით ქალი,  
მომიახლოვდა ნარნარი ტანით,  
ნეტავ, ლამაზო, მქონდეს უფლება,  
შენთან შეხვედრის და პაემანის!

ბიჭო, რას მეტყვი იქ პაემანზე,  
იცინის ისევ ეს ცოდვით სავსე,  
გეტყვი: მიყვარხარ, ჩაგიკრავ გულში,  
მთელი სიცოცხლე ვიქნებით ასე!

1970 წელი

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	7
ჩემი ოწმენის გზა .....	9
ქართველ ახალგაზრდებს .....	11
საქართველო ჩემო ტკბილი .....	12
სახლი .....	13
კარგია .....	14
ადამიანს .....	15
* * * .....	16
* * * .....	17
დედას .....	18
წარსულის საშინელი აჩრდილი .....	19
მარტოობა .....	20
გახსენება .....	21
* * * .....	22
ო, წლებო, წლებო .....	23
რით განვსხვავდებით ძაღლო მე და შენ .....	24
წმინდა მარიამის ეკლესიაზე .....	25
უცნობ ქალს .....	26
გახსენება .....	27
პეტრე ბაგრატიონს .....	28
შედარება .....	29
სონეტი .....	30
სიმშვიდე .....	31
წვიმა .....	32
გახსენება მტკვრის ნაპირებთან .....	33
ძიას .....	34
შვილებს .....	35
შვილებს .....	36
თიბათვე .....	37
მონატრება .....	38

ფიქრია ჯულუხაძეს	39
ქვიშხეთი	40
ტელევიზორი	41
კლარა გელაშვილს	43
კიდევ იცემეთ!	44
გახსენება	45
ორმოცდაათი წლის გავხდი უკვე	46
გოგი გუდაძის ხსოვნას	47
ცდა	48
მიწის მატლი	49
გასხვისებული ცხოვრება	50
შენი სურნელი	51
ლექის გზა	52
* * *	53
სხვის სიცოცხლისას	54
ცხენი	55
რჩეულთა ხვედრი	56
სამშობლოს ტაივილი	57
მიწა	58
ამინდი	59
სინანული	60
უაზრო ყოფა	61
აღვირი ახსმებს	62
მამული	63
* * *	64
მზიას	65
ნადვლიანი დრო	66
ბედნიერება	67
ბოლო წუთები	68
მეგობარს	69
ნატგრა	70

ეჭვი .....	71
აღარ მიყვარსარ ზამთარო .....	72
ჩვენი ცხოვრება .....	73
დავითის ანდერძი .....	74
მეგობრის ხსოვნას .....	75
ვუძღვნი მ.....ს .....	76
დიდედას .....	77
არაფრისთვის .....	79
ასეთ ცხოვრებას! .....	80
ნეტავ ვიცოდე .....	81
ვუძღვნი მ.....ს .....	82
დედის ვალი .....	83
დემოკრატია მოდის .....	85
მგზავრი .....	86
ფიქრი ტყეში .....	87
გოგოვ, გოგოვ, პაწაწინავ! .....	88
საგუთარ თავს .....	89
საჩუქარი .....	90
ჩემო უფალო .....	91
რამდენ ერთს .....	92
მოულოდნელად გვამცნეს .....	93
ღმერთი გადმომხედავს .....	94
შევარდნაძის ხელისუფლებას .....	95
ბოლო სიტყვა .....	96
მეზობელი .....	97
ჭეშმარიტება! .....	98
ყბედობენ ხელისუფალნი .....	99
გლობალიზაცია .....	100
წუთისოფელი .....	101
ეპიტაფია .....	102
ვერვინ წამართმევს! .....	103
ღიმილის სევდა .....	104

ცხოვრება .....	106
მსურს .....	107
საით წავიდე .....	108
ხელისუფლების არამზადებს! .....	109
სასაფლაოზე .....	110
მეგობრის ხსოვნას .....	111
არ დამთავრდება .....	112
სიცარიელე .....	113
ცხოვრება .....	114
ჩემს პატარა თამარს .....	115
ბრძა მეთარე .....	116
სხვაობა .....	117
შევარდნაძის ხელისუფლებას .....	118
ორფეს კირებს .....	119
წესი .....	120
სული .....	121
პიმნი ბაგშვებზე .....	122
უშედეგო ცდა .....	123
კვლავ მოგილოცავ .....	124
გულმა მითხრა .....	125
კაცი დირსება .....	126
ვიბრძიოთ .....	127
ჩემო ჯონკა და ჩემო გიშერო .....	128
რამდენ კაცს იტანს ეს მიწა .....	129
ხელისუფლებას .....	130
ღრუბელი .....	131
ორი სიზმარი .....	132
ექსპრეზიდენტ შევარდნაძეზე .....	133
სიტყვის ტყვიები .....	134
თავშესაქცევი .....	135
სატყეარა .....	136
* * * .....	137
რიგი .....	138

არ დაილია .....	139
მტრისგან მიზაცებულ აფხაზეთს .....	140
წუხილი .....	141
მომრავლდა .....	142
გზა .....	143
ვეძებ .....	144
კაცის სასჯელი .....	145
1999 წლის მოწვევის პარლამენტარებს .....	146
ვერ მოგშორდები .....	147
რამდენი რამე შემშლია .....	148
ქვიშეეთის ზეცა .....	149
გასაუბრება დედის აჩრდილთან .....	150
არ მიყვარს .....	151
თანაგრძნობა .....	152
ვუძღვნი მ...ს .....	153
არ დირსებიათ .....	154
გავს და არ გავს .....	155
დედას .....	156
როგორ არ ამკობს შენს მშვენებას! .....	157
პური გათავდა? .....	158
ს ა რ ჩ ე ვ ი .....	159